# ახალი სხივი

ოთხშაბათი, 31 მარტი 1910 წ. № 46

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ახალი სხივი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი  წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე —10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ სალამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი· გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ- სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი  შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა



## „ახალი სხივი"

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

### გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

| ქალაქ გარეთ | თფილისში |
|---|---|
| 3 თვით—2 მან. 50 კაპ. | 3 თვით—2 მან. 20 კაპ. |
| 1 ,, — — — 90 ,, | 1 ,, — — — 80 ,, |

**გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან —ერთი შაური

**რედაქციის ადრესი:**

რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлисъ, тип. „Шрома" **Калистрату Конст. Цуладзе.**

**ამით** ვაცხადებთ პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ჩვენს აფთიაქის მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ქ. ბათუმში, ოგლობლინსკის ქუჩაზე, მოიპოვება მრავალგვარი აბრეშუმის ჭიის თესლი თეთრი და ყვითელი:

1. პასხალიდისა, 2. ხრისტოდულისა, 3. ზარაფიანისა, 4. ეკონომიდისა, 5. სკულიდისა, 6. დოფენისა, 7. შარბიე ფურტუნისა, 8. პაპიდისა, 9. სოტირიადისა და სხვათა. თესლი იყიდება გასულ წლების ფასებთან შედარებით გაცილებით იაფად. გვყავს აგენტები შემდეგ ადგილებში: სადგურ ჯუმათში: აბესალომ მოისრაფიშვილი. სუფსაში: კოწია ჭანტურია, დ. ლანჩხუთში: კირილე ხოფერია და ივანე წილოსანი, ნიგოითში: ესტატე მშვიდობაძე და ელიაზარ ქოქიკაიშვილი, ნაგომარში: დ. გოგიბერიძე. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ აღნიშნულ აგენტებს.

დავშთები პატივისცემით **სერგო ივ. იმნაძე** (10—3)

ამით ჩვენ ურჩევთ ყველა მეაბრეშუმეთ ნუ მოერიდებიან ცოტათი მეტ ფასს და შეიძინონ

## „სოტირი ადის" (ბაღდადის) აბრეშუმს თესლი

თუმც ეს თესლი შეიძლება სხვაზედ ცოტათი მეტი ღირდეს, სამაგიეროთ, ყოველად საიმედო და უტყუარი გამოდის, რადგანაც, როგორც სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, ეს ფირმა საზღვარგარეთ ყველაზედ საუკეთესოთ უცნიათ და ოფიციალურ დაწესებულებას უმაღლესად დაუმტკიცებია. **რომ ეს თესლი იაფათ შეიძინოთ, უნდა მიმართოთ პირდაპირ ფაბრიკის სკლადში, ბათუმში მარინსკი პროსპექტზე № 19 სახლში, (საურთიერთო ბანკის ქვეშ).** (12—11)

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა

## კოოპერაცია

(თეორია ისტორია და პრაქტიკა.)

გამოცემა „შრომის" სტამბის ამხანაგობისა

შინაარსი: რა არის კოოპერაცია? კოოპერაციის მიზანი, ისტორია, სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლად. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა. კოოპ. ჩვენში. ● **წიგნის ფასი 35 კაპ.** ●

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით· ერთი ცალის მსურველს ქალაქ გარეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома", Василію К. Болквадзе. (10—3)

მშ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**ოთხშაბათს, 5 აპრილს,**

**ქ. გ. რომანიშვილის, თ. ს. გოგოლაშვილის, გ. დ. გუნიას, ს. ბ. სვიმონიძის, კ. წერეთლის, დ. მგალობლიშვილის** და სხვათა მონაწილეობით გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება

I

**ორი დარაჯი**

**დრამა 3 მოქ. თარგ. ფ. ქორიძისა.**

II

**კონცერტი**

ქართული ხორო გ. ჩარკვიანის ლოტბარობით იმღერებს ქართულ სიმღერებს. **დასაწყისი სწორეთ 8 ნახ. საათზე.** ადგილების ფასი 10 კ.—1 მ. 20 კ.

**ვაცნობებთ გურიის მეაბრეშუმეთ, რომ დ. ჩოხატაურში**

**წიგნის მაღაზიამ**

შეიძინა მრავალ წლობით გურიაში ნაცადი და საიმედო, ცნობილი ფირმის აბრეშუმის თესლი

## ✱ ხრისტოდული ✱

რომელიც შემოწმებულია საბრეშუმო სადგურში. ხრისტოდულის თესლი დამზადებულია ჩვენებურ ჰავის შესაფერად. ჩვენი მიზანია რაც შეიძლება იაფად და თან უტყუარი აბრ. თესლი მივაწოდოთ ღარიბ მეაბრეშუმეებს, ვინც ადრე შეიძენს ან კოლოფზე 50 კ. წარმოადგენს, იმათთვის გაცილებით იაფი ეღირება. მუქთად დაეთმობათ «ყაჭის მოვლა». ამავე თესლის შეძენა შეიძლება ხიდისთავში ემილ. ლომთათიძესთან, ნაგომარში თომა ნინიძესთან ს. ბუკნარში მირიან ბუკიასთან. და ს. გულეკარში ფერშალ იოსებ მაღლარიასთან.

(6—3) **სიდ. თავართქილაძე.**


## რა გვაქვს საერთო?

(გაგრძელება)

თქვენ შინაურ კითხვებს ყურადღებას არ აქცევთ, არ გაინტერესებთ, ხმას არ იღებთ. თქვენ გულ-გრილობას იჩენთ ეროვნულ კულტურისადმი და სხვა— დაგვძახიან ყოველი მხრიდან ჩვენი მოწინააღმდეგენი.

და აი, ამას ერთხელ კიდევ იმეორებს თავის უკანასკნელ წერილებში ბ-ნი ჯორჯაძეც.

„მუდამ ჟამს მშრომელ ხალხს იხსენიებთ, მის გარშემოა თქვენი ფიქრი და ძალიან გწყინთ, როდესაც გისაყვედურებენ, ეროვნულ კულტურისადმი გულგრილობას იჩენთო"...—„მათი (ე. ი. ჩვენი) პრესა „დუმით", სპარსეთის რევოლიუციით და ინგლისის ამბებით არის გართული"... „დუმა, დუმა, დუმა", მეთაური წერილი საზოგადო პოლიტიკის შესახებ, ისევ „დუმა", ისევ „დუმა"— ირონიული კილოთი სწერს ის.

ვინც საქმესთან არაა გაცნობილი, ეგონება, რომ ჩვენ მართლა არ ვაქცევთ არავითარ ყურადღებას, გვერდს უვლით, ჩირათაც არ მიგვაჩნია ადგილობრივი კითხვები და მხოლოდ და მხოლოდ „საზოგადო პოლიტიკით" და „დუმით", ვართ გატაცებულნი. მართალია, ჩვენ სერიოზულ, თუ გნებავთ, უმთავრეს ყურადღებას ვაქცევთ საზოგადო პოლიტიკას (თუ რატომ ამაზე ქვევით), მარა ამავე დროს სიმართლის გაუთელავათ არ შეუძლია ჩვენ მოწინააღმდეგეს სთქვას, რომ ვითომ ჩვენ გვერდს ვუხვევდეთ და ყურადღებას არ ვაქცევდეთ შინაურ კითხვებს. განსაკუთრებით ეს არ შეუძლია სთქვას გაზეთმა „დროება"-მ, რომლის გულგრილობა ზოგიერთი საჭირ-ბოროტო ადგილობრივი კითხვებისადმი პირდაპირ გასაოცარია. კიდევ მეტი· ერთგვარი დანაშაულობაც არის. ამას არ შეიძლება არ ხედავდეს თვით ბ-ნი ჯორჯაძეც, მარა მას სხვის თვალში ბეწვის დანახვა უფრო ეადვილება, ვინემ საკუთარ თვალში დვირესი.

ჩვენი სიტყვების დასამტკიცებლათ საკმარისია თვალი გადავავლოთ ამ უკანასკნელ ხანებში აღძრულ ადგილობრივ კითხვებს. ჩვენ სრულიათ არ გვაქვს არავითარი სურვილი ვინმეს გავეჯიბროთ, თავის თავზე ვილაპარაკოთ, მარა როცა სიმართლეს ფეხს ქვეშ სთელავენ, როცა თავის დაუდევრობას და უყურადღებობას სხვის საქმისადმი ჩვენ გვაწერენ, ჩვენც იძულებული ვართ სიმართლე აღვადგინოთ.

აიღეთ ერობა, სახალხო თეატრი, წ.-კ. გ. საზოგადოება და მისი კრება, ქალაქის თვითმართველობა, ტრამვაის კატასტროფა და სხვა ასეთი შინაური საჭირ-ბოროტო კითხვები, რომლებსაც ძალიან დიდი და სერიოზული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. რა პოზიცია ეჭირა „დროება"-ს ამ კითხვების შესახებ ატეხილ დავაში? ეს ჩვენ კი არა, ვგონებ, არც თვით „დროების" ჯგუფმა იცის, რადგან დიდ უმეტეს შემთხვევაში ის სდუმდა, ხმას არ იღებდა, თავის აზრის გამოთქმას გაურბოდა. ან თუ იტყოდა გაკვრით, კანტი-კუნტათ.

გადაათვალიეროს ბ-ნმა ჯორჯაძემ ჩვენი ადგილობრივი გაზეთები, და თუ „იჩენიებს გაბედულებას და იტყვის „ჰო"-ს იქ, სადაც საჭიროა", უნდა დაგვეთანხმოს, რომ არც ერთს არ „უტეხია თავი» ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კითხვების შესახებ იმდენათ, რამდენადაც ჩვენ. მას შეუძლია არ დაგვეთანხმოს დასკვნებში, წინადადებაში, მარა ფაქტის უარყოფა კი შეუძლებელია ისე, თუ არ გაითელა სიმართლე. და რომ ბ-ნ ჯორჯაძეს არ ეღალატა ამ სიმართლისთვის, მაშინ ამაზე ლაპარაკიც მეტი იქნებოდა.

თუ კი ასე იქცევიან ჩვენი მოწინააღმდეგენი და მათი გაზეთი ადგილობრივ კითხვებში, რომელიც თავის მონოპოლიათ მიაჩნიათ, რაღა უნდა ვთქვათ „საზოგადო პოლიტიკაზე" და „დუმაზე"! ამაებზე ლაპარაკი და წერა ხომ თითქმის სულ განდევნილია „დროებიდან". „იმ ადგილას, სადაც მეთაური უნდა იყოს", მუდამ დეპეშებია. ბედნიერ შემთხვევებში კი ბ. სიტყვას მოთქმა ტირილი და ცრემლები. მეთაურ წერილს ამა თუ იმ კითხვის შესახებ, საიდანაც უნდა გაიგო გაზეთის შეხედულება, დიოგენის ფანრითაც ვერ ნახავთ. ამატომ ჩვენ იძულებული ვართ ბევრ საინტერესო კითხვებში ჩვენი და მათი შეხედულებათა სხვა და სხვაობა გამოურკვეველი დავტოვოთ.

ჩვენ ზევითა ვსთქვით, რომ ადგილობრივ კითხვებთან ერთად დიდ ყურადღებას ვაქცევთ აგრეთვე საზოგადო პოლიტიკას და დუმას თქვა.

გაქექილს გატეხილი სჯობიაო—ამბობენ. გამოვტყდებით და ვიტყვით, რომ საზოგადო პოლიტიკას უპირველეს მნიშვნელობას ვაძლევთ, ვინემ ადგილობრივ კითხვას. და როდესაც ბ-ნი ჯორჯაძე ამას გვიკიჟინებს და „თავის მობეზრებათ" გვითვლის, ეს აიხსნება არა უბრალო მისი კაპრიზით, არამედ— იმ შეხედულებათა განსხვავებით, რომლის სათავე უფრო შორს სძევს, ვინემ ეს პირველი შეხედვით გეჩვენებათ.

ადგილობრივი კითხვების პირველ რიგში წამოყენება—ეს ფრიად დამახასიათებელია დღევანდელი მომენტის. თუ განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს პირველი ადგილი ეჭირა საერთო, საიმპერიო კითხვებს, ამ რეაქციის ბატონობის დროს გულ-გატეხილმა საზოგადოების ნაწილმა პირველ რიგში ადგილობრივი კითხვები წამოაყენა. საერთო კითხვების გადაუწყვეტელობით იმედ დაკარგული ხალხი ადგილობრივ კითხვებს დაებღაუჭა—ეს მაინც გადაწყდესო. რამდენათ რეაქცია ძლიერდება, იმდენათ „ადგილობრივი" კითხვების ბრძოლა საერთო კითხვების წინააღმდეგ, უფრო ძლიერი და მწვავე ხდება. საჭირ-ბოროტო კითხვების ასეთი შეცვლა ღვიძლი შვილია რეაქციისა.

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მიზნათ დაისახა საერთო, საიმპერიო კითხვების გადაჭრა. მოძრაობა დამარცხდა. რამდენათ მოძრაობის ტალღები უკან იწევდა, იმდენათ საერთო კითხვები და ლოზუნგებიც უკან იხევდა და მის ადგილს თან და თან იჭერს კერძო-კერძო „ადგილობრივი კითხვები", რომელიც წინათ ჩაქსოვილი და გათქვეფილი იყო საერთო, საიმპერიო კითხვებში. რეაქციის გაბატონებამ საერთო კითხვები განდევნა სამოქმედო სარბიელიდან და მის ადგილას წამოაყენა „ადგილობრივი კითხვები". რამდენათ უფრო ეცემა რწმენა ადგილობრივი კითხვების გადაჭრის საერთო, საიმპერიო კითხვების გადაჭრის საშვალებით, იმდენათ, ვიმეორებთ, უფრო ძლიერათ იჩენს თავს ადგილობრივი კითხვებიც.

ადგილობრივი კითხვების უარყოფა აბა, ვის მოუვა ჭკუაში, მარა გაზეთი არ უნდა ჩამოქვეითდეს უბრალო «ობივატელის" აზროვნებამდე, მის პოლიტიკურ პასიურობამდე და დაბნეულობამდე. პირიქით, დემოკრატია მთელი თავისი ძალ-ღონით უნდა შეებრძოლოს ამას და ეცადოს ხელი შეუწყოს ხალხის ამაღლებას იმ ისტორიულ დანიშნულებამდე, რომელსაც მიზნათ ისახავს ჭეშმარიტი დემოკრატია. გაზეთი, თუ ხელმძღვანელი ჯგუფი, უნდა ცდილობდეს დაუმტკიცოს მასას, რომ **ადგილობრივი კითხვების სასურველათ გადაწყვეტა შეუძლებელია არსებული რეჟიმის ფარგლებში.** და რამდენათ ამას სჩადის ის, იმდენათ ის თავის მოწოდების სიმაღლეზე სდგას და პირნათლათ ასრულებს ნაკისრებ ისტორიულ მისიას.

**ადგილობრივი კითხვიდან საერთო კითხვისაკენ.**

**საერთო კითხვის გადაჭრით—ადგილობრივი კითხვის გადაჭრა.**

აი ჩვენი პრინციპიალური შეხედულება ამ კითხვაში.

**ძირს საერთო კითხვები! გაუმარჯოს ადგილობრივ კითხვებს!**

აი ბ-ნ ჯორჯაძის და მისი თანამოაზრეების პოზიცია ამ კითხვაში.

როგორც ვხედავთ, ჩვენ შორის განსხვავება ზერელე კი არ არის, არამედ— უფრო ღრმა. ამიტომ ბ-ნ ჯორჯაძე ცდება და ათასჯერ ცდება, როცა ამბობს: ჩვენ შორის განსხვავება „პრინციპიალურ განსხვავებათ არ მიმაჩნიაო".

შეხედულებათა სხვადასხვაობიდან გამომდინარეობს მოქმედებათა სხვადასხვაობაც. რაკი ბ-ნი ჯორჯაძე გაურბის საზოგადო პოლიტიკას, ხოლო ამ პოლიტიკის ერთი ღერძთაგანია დუმა, ამიტომაც არის, რომ მათ გაზეთში დუმას და მის მოქმედებას თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. არამც თუ თვითონ აქცევენ, ჩვენც კი გვემუდარებიან: „დუმით თავს ნუ მოგვაბეზრებთო". სამწუხაროთ, ბ-ნ ჯორჯაძეს ამ წადილს ვერ ავუსრულებთ. ვერ ავუსრულებთ იმიტომ, რომ დუმასაც ჩვენ სხვაფრივ ვუყურებთ, ვინემ ის.

დუმა ერთგვარი საზოგადოებრივი ასპარეზია, სადაც აშკარათ, მთელი ქვეყნის წინაშე ხდება კლასიურ ინტერესთა შეტაკება-შეჯახება, საზოგადოებრივ ძალთა შეხლა-შემოხლა. აქ ასე თუ ისე წყდება სერიოზული პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხი, რასაკვირველია დემოკრატიის საზარალოთ, მარა ეს სხვა კითხვაა. ჩვენი მოვალეობა და გაზეთის დანიშნულებაა სათანადო ანგარიში გავუწიოთ თუ რა ხდება იქ. მის მოქმედებას ღირსეული მსჯავრი დავსდოთ. რა კი დუმა არსებობს, საჭიროა მისი არსებობა სავსებით გამოყენებულ იქნას ხალხის სასარგებლოთ. ეს არის ხალხის პოლიტიკური შეგნების გაღვიძება, გაღრმავება, გაფართოვება; ეს კი თავის მხრით იწვევს სხვადასხვა ორგანიზაციების აღორძინებას, გამტკიცებას. დუმა, სხვა რომ არ იყოს-რა, იმის მაჩვენებელი მაინც არის, თუ რა არის ძველი რეჟიმი და რა არის თვით დუმა. ის გარემოება, რომ იქ გაბატონებულია შავრაზმული თავადაზნაურობა და რეაქციონური მსხვილი ბურჟუაზია, სრულიად არ გვაძლევს საბუთს, რომ მას ზურგი შევაქციოთ. ასეთი შეხედულება ყალბია და შედეგია დღევანდელი მომენტის დაკნინებისა, პოლიტიკური რეაქციის თავ-აშვებული თარეშისა, რომელმაც ასეთი დემორალიზაცია შეიტანა სხვადასხვა ჯგუფებში და ასეთი პოლიტიკური აპატია და გულგრილობა გაამეფა მასსაში.

საზოგადო პოლიტიკიდან გაქცევა, დუმის ზურგის შექცევა—ეს თვით პოლიტიკის უარ-ყოფაა, აპოლიტიციზმის სამსახურია და როგორც ასეთი—რეაქციონურია.

თუ ბ-ნი ჯორჯაძე აქაც „გამოიჩენს გამბედაობას და იტყვის „ჰო"-ს იქ, სადაც საჭიროა მისი თქმა", უნდა დაგვეთანხმოს, რომ აქაც ჩვენ შორის განსხვავება პრინციპიალურია და არა ზერელე.

ვნახოთ რას იტყვის!

(შემდეგი იქნება).

## სახელმწიფო დუმა

(საგ. დეპ.)

**29 მარტი.**

29 მარტის სხდომაზე დუმამ საჩქაროთ უკამათოთ მიიღო ბარნაულში საოლქო სასამართლოს დაარსების შესახებ კანონ-პროექტი და განაგრძო ადგილობრივ სასამართლოთა რეფორმების შესახებ კანონ-პროექტების განხილვა. ლაპარაკობენ მოსამართლეთა ქონებრივ ცენზის შესახებ. კომისიის აზრით საჭიროა დაწესებულ იქნას იმ ცენზის ნახევარი, რომელიც კანონ-პროექტშია მოყვანილი. ცენზისაგან სრულიად თავისუფალი არიან უმაღლესი განათლების პირნი. კენჭის ყრით დუმა ღებულობს კომისიის წინადადებას ცენზის შესახებ.

დანარჩენი მუხლების განხილვის დროს მემარჯვენეებს შესწორება შეაქვთ, რომ აეკრძალოთ ებრაელებს დაიჭირონ მოსამართლეების ადგილი. შესწორებას მხარს უჭერენ ზამისლოვსკი და მარკოვი მეორე. ერთიცა და მეორეც მჭევრმეტყველურათ ამტკიცებენ, რომ ებრაელები ყველგან სახელმწიფოებრივობის მტრები არიან და მათი მოსამართლეებათ არჩევა დაღუპავს რუსეთს. ცოტა კამათის შემდეგ კენჭის ყრით—165 ხმით წინაამდეგ 134 ხმისა მემარჯვენეთა შესწორება გადასდევს.

შემდეგ მიიღეს დანარჩენი მუხლები და კანონ-პროექტის მესამეთ განხილვაც გათავდა. შუბინსკის ცხარე ტაშისცემით შეხვდენ. სხდომა დაიხურა. შემდეგი 30 მარტს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**30 მარტი.**

**სპარსეთი**

**თავრიზი.** ეფრემის და სარდარ-ბაგადურის მეთაურობით ხუთასი ბახტიარი ასეული სპარსელი ყაზახი და ეფრემის ას სამოც-და ათი ფიდაი არდებილისკენ წავიდა შახსევანების დასამშვიდებლათ.

**ოსმალეთი**

**სალონიკი.** 23 მარტს ომის გათავების შემდეგ ოსმალებს მოუკლეს და დაუჭრეს 40 სალდათი, ალბანელები ძველ პოზიციაზე დარჩენ და იერიშისთვის ემზადებიან. აჯანყებულთა რიცხვი ოცი

ათას კაცს უდრის. ხმები გავრცელდა, რომ 26 მარტს ისევ მოხდა შეტაკება— ალბანელებმა დაკარგეს ორასი კაცი და უკან დაიხიეს. ოსმალებმა დაკარგეს 50 კაცი. იპეკში და პრიშტინში სამხედრო სასამართლოები მოქმედებენ.

**სალონიკი.** ჩრდილოეთ ალბანეთში მოძრაობა თანდათან ვრცელდება პრიშტინელებს შეუერთდენ მიტროკიცელები ვუჩიტრინელები, გულიანელები და პრეშევოელები. იპეკში სიწყნარეა. ქალაქს სამი ბათალიონი იცავს. ალბანელებს განზრახვა აქვთ გზები დაიჭირონ და ხელი შეუშალონ ჯარების გაგზავნას. როგორც ამტკიცებენ, მოძრაობას მეთაურობს ცნობილი ისსა ბოლეტინაცი. უსკიუბში ყოველდღე მოდის ჯარი, რომელსაც შუაგულ ალბანეთში გზავნიან.

**კონსტანტინოპოლი.** ალბანელთა დეპუტატები ამტკიცებენ, რომ ალბანელთა აჯანყება გამოიწვია ადგილობრივმა მთავრობამ. ისინი წინადადებას იძლევიან გაგზავნონ პრიშტინში საპარლამენტო კომისია. უმრავლესობა დამშვიდებით ისმენს ამ სიტყვებს. ოპოზიციის ლიდერ ცნობილ ალბანელ ალი-კემალის სიტყვით, რომლითაც ის მთავრობას ამტყუნებს, რომ ის პოლიტიკურ თარიშს ეწევა ბულგარელებსა და სერბებთან, შინაგან საქმეთა მინისტრის პროტესტს იწვევს. მინისტრი რამდენჯერმე აწყვეტინებს მას სიტყვას. ალბანელი მუფადი ერთ აურ-ზაურს იწვევს, როცა საექსპედიციო რაზმის უფროსს გარეულ მხეცს ეძახის. შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრნი პროტესტს აცხადებენ და მოითხოვენ სიტყვა წაართვან. დეპუტ. უმრავლესობა ხმაურობს. ოპოზიცია ტაშს უკრავს. ორატორი ხმა-მაღლა ყვირის კათედრიდან და კიცხავს რაზმის უფროსს შევკეტ-ტურგუდ-ფაშას დეპუტატები ტრიბუნასთან თავს იყრიან. მუფიდის მომხრეებს კათედრიდან ჩამოყავთ ის. თავმჯდომარე ძლივს აწყნარებს სხდომას. ლაპარაკობს დიდი ვეზირი ხაკკი ფაშა. ის ამბობს, რომ ალბანეთი საუკეთესო იაგუნდის თვალია ოტტომანის გვირგვინში, მაგრამ მთავრობას არ შეუძლია ნება მისცეს ვისმე მის წინააღმდეგ მოქმედების. ალბანეთში მრავალი ჯარის გაგზავნა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ შესწყვიტონ სისხლის ღვრა. ცნობები მოვიდა, რომ ალბანელებმა მოლაპარაკება დაიწყეს და მზათ არიან დამორჩილებისა. მთავრობა ვალდებულია ყოველივე ზომები მიიღოს წესიერების დასამყარებლათ და ის ამას იზამს (ტაშისცემა). მთავრობის განმარტება პალატამ საკმაოთ სცნო და სხდომა დაიხურა.

### ხაზღვარ-გარეთ

**სენშაბონი.** ანარქისტებთან შეტაკება გაგრძელდა ბარიანის წასვლის შემდეგ. დაიჭირეს რამდენიმე კაცი. სამ მათგანს რევოლვერები წაართვეს. მსუბუქათ დაიჭრენ პოლიციის აგენტები. ბრიანს უნდოდა არ მომხდარიყო ჟანდარმების და მანიფესტანტების შეტაკება, მაგრამ ბრბომ ქვების სროლა დაიწყო და ის იძულებული იყო გაშორებოდა. 6-ნახევარ საათზე წესიერება აღდგენილ იქნა.

**სენშაბონი.** უცნობი, რომელიც 28 მარტს დაიჭირეს ბანკეტზე—ისპანელი აღმოჩნდა. ბანკეტის შემდეგ მანიფესტაციის დროს ორას ანარქისტს და ბარიანის მომხრეებს შეტაკება მოუვიდათ. ანარქისტებმა რევოლვერები გაისროლეს. ბრბო აღშფოთდა ანარქისტების საქციელით და ბარიანს ოვაცია გაუმართა.

### რუსეთი

**ხარკოვი.** საოლქო სასამართლოში დაიწყო ყალბი ფულების მკეთებელთა საქმე: ბრალს სდებენ 27 კაცს, გამოცხადდა 25. დაბარებულია 200 მოწმე.

**მოსკოვი.** სამოსამართლო პალატაში დასრულდა გლხთა კავშირის შესახებ საქმის განხილვა. განაჩენი დახურულ კარებში გამოაცხადეს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო დუმაში შეიტანეს საიდუმლო კანონ-პროექტი 10 წლის განმავლობაში სახელმწიფოს დაცვისათვის ხარჯების შესახებ. კანონპროექტის ის ნაწილი, რომელიც დაცვას შეეხება—გადაეცა სახელმწიფოს დაცვის კომისიას, ხოლო საფინანსო—საფინანსო კომისიას.

## ქალაქის საბჭოს დარბაზი.

საბჭოს მორიგ კითხვებში პირველი ადგილი, რიგით, ყოველთვის ხმოსნების წინა კრებებზე დაუსწრებლობის საკითხს უჭირავს და ყოველთვის გამგეობა ამის შესახებ ერთ და იმავე მოხსენებას აკეთებს: დაუსწრებლობის შესახებ ხმოსნებმა დამაკმაყოფილებელი მიზეზები წარმოადგინესო. საბჭოც ყოველთვის ამ ახსნით კმაყოფილდება. ჩვენ კი ამგვარი სტერეოტიპიური ახსნა არ გვაკმაყოფილებს, ვინაიდან ვიცით, რომ ზოგიერთი ხმოსნები კარგათაც არიან, თფილისიდანაც არსად გადიან, სახლობაც ძლიერ ჯანსაღათ ჰყავთ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ისინი საბჭოს დარბაზს რომელიმე კლუბის დარბაზს ამჯობინებენ ხოლმე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქალაქის საბჭომ ამ კითხვას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. ვინც ხმოსნობის მოვალეობას კისრულობს, ის სხვა თუ არაფერი, მორიგ კრებას მაინც უნდა დაესწროს, ყველას თუ არა, ათში ერთს მაინც.—მაგრამ დავანებოთ თავი იმ ხმოსნებს, რომლებიც პერიოდულად არ ესწრებიან კრებებს და ვიკითხოთ: რისთვის არ აცხადებენ უარს ხმოსნობაზე და თავიანთ ადგილს სხვებს არ უთმობს ის ორი ხმოსანი, რომელნიც სრულიად არ ესწრებიან კრებებს და არც არავითარ კომისიებში მონაწილეობას არ ღებულობენ? ვიცით, გვიპასუხებენ: ისინი ქალაქის ჯამაგირიანი მოსამსახურენი არიან და ამისათვის უხერხულად მიაჩნიათ საბჭოს კრებებს დაესწრანო. კეთილი, მაგრამ სათვალავში მაინც რისთვის არიან? ჩვენის აზრით, იმ ორმა ხმოსანმა უთუოდ უნდა დაანებონ თავი ხმოსნობას და თავისი ადგილი სხვებს დაუთმონ. ხმოსანი უნდა ხმოსნობდეს, და თუ ამას რაიმე გარემოება ხელს უშლის, ორში ერთი უნდა მოხდეს: ან ეს გარემოება უნდა ჩამოიცილონ, ან ხმოსნობა მოიცილონ.

ახლა გადავიდეთ საბჭოს უკანასკნელ სარშაბათო კრებაზე

ქალაქს გაზის ქარხნის აშენება მოუსურვებია და კონცესიებს დაეძებს, მაგრამ იმისთანა შიუღგომელი პირობები დაუსვამს კონცესიონერებისათვის, რომ არავინ ახლოს არ გაკარებია. სხვა გაცემულ კონცესიებმა ქალაქს კბილი მოჰკრეს და, ალბათ, იმანაც იფიქრა: მოდი, აქ მაინც თავს ნურავის ნუ მოვატყუებინებთო და ზომიერებას გადააბიჯეს, მაგრამ თუ გადაჭარბებულ ზომიერებას თან გონიერებაც არ ახლავს, ქალაქს მართლაც არავინ არ გაეკარება. და ვინაიდან ვიცით, რომ ქალაქის მამებს თვით არ აქვთ საქმის უნარი,—ლითონი სიტყვა რომ არ გამოგვივიდეს, ქალაქის საყასბოების ისტორიას მოვაგონებთ,—სხვები მაინც არ უნდა დააფრთხონ და როდესაც რომელიმე საქმის დაწყებას მოინდომებენ, გონიერი და ზომიერი პირობები უნდა შესთავაზონ ამა თუ იმ კონცესიონერს. რასაკვირველია, ქალაქს ამისთანა საჯაყი საქმე მარტო წინდაუხედველობით როდი დაემართებოდა: ის, ალბათ, პირობების შემუშავების დროს ქალაქის კასაზე ჰფიქრობდა. ქალაქის კასაზე კი ჩვენი მამები, ყოველთვის თქვა არ ვიტყვი, მაგრამ ხანდისხან კი ჰფიქრობენ. ეს „ხანდისხანი" უკანასკნელ კრებასაც ხვდა წილათ. საქმე იმაშია, რომ დიდუბელებს გაუხსნიათ ბიბლიოთეკა და ქალაქისათვის უთხოვნიათ ნივთიერი დახმარება. ჩვენ გვგონია, რომ ბიბლიოთეკები თვით ქალაქმა უნდა გახსნას თავის ხარჯით, და თუ ამას ის არ იკისრებს, კერძო პირთ და ჯგუფთ მაინც უნდა დაეხმარონ საგრძნობლათ. ქალაქს კი თურმე ფულები ნაკლებათ ჰქონებია და დიდუბელების ბიბლიოთეკას მხოლოდ... ასი მანეთი მიაწოდა. თუ მეტი არა თუთხმეტი თუმანი მაინც მივცეთო, მოითხოვა ხმოსანმა კ. ჯაფარიძემ, მაგრამ საბჭომ „უფულობის გამო", ეს წინადადება არ მიიღო.

ლომბარდის მოსამსახურეების თხოვნის შესრულებას, უფულობის გარდა ერთი პრინციპიალური მოსაზრებაც ზედ დაერთო. წინა წლებში მოსამსახურეებს სააღდგომოთ საჩუქრათ თითო თვის ჯამაგირი ეძლეოდათ. ამ მოსამსახურეებს, როგორც ქვეყლა მოწმობს, აუტანელი შრომა აქვთ, ისიც ანტიჰიგიენურ პირობებში. ითხოვენ ახლა ისინი: ბევრს ვშრომობთ, პირობები აუტანელია, ყოველისფერს ფასები მომატებული აქვს, ლომბარდის შემოსავალმა ძლიერ იმატა; მოიღეთ მოწყალება და ერთი თვის მაგივრათ ორი თავის ჯამაგირი მოგვეცითო. ბ. ხატისოვმა პრინციპიალური მოსაზრება მოიყვანა: „ქალაქის მოსამსახურეები ჯამაგირის გულისთვის კი არ უნდა მსახურებდენ, არამედ ქალაქის საქმეებისადმი სიყვარულის გამო".

უფულობა ხომ თავის თავათ უძლეველი საბუთია, მაგრამ ამას ზედ რომ პრინციპიც დაერთვის, მაშინ ხომ მოსამსახურეების მოსაზრებები ძირს დაეცემიან.

კითხვა მაინც არ გადაწყდა, რადგანაც... ხმოსნები ნელ-ნელა და თითო-თითოთ გაპარულიყვენ და კრებაც დაიხურა.

საინტერესოა ვიცოდეთ: როდესაც შარშან საბჭო ქალაქის გამგეობის წევრებს, «ფაიტონის ფულათ», ცხრაას-ცხრაას მანეთს აძლევდა, იყო თუ არა მაშინ ვინმესგან წამოყენებული „ქალაქის საქმეებისადმი სიყვარულის" პრინციპი? და თუ არ იყო, რისთვის ამ პრინციპმა მაინცა და მაინც პირველად პატარა ლომბარდელების ზურგზე უნდა გადიარბინოს!

**იკმ.**

## წერილები ლონდონიდან

დღეს აქ „წითელი პარასკევია" და ხალხიც უქმობს მის-და შესაფერათ. ერთი რამ დამახასიათებელია აქაური უქმობაში—ესაა დილის ხანგრძლივი ძილი! მე ვცხოვრობ მუშათა ერთ-ერთ უბანში, და აქ უქმე დღეს სამარისებური სიჩუმეა ქუჩებზე, ასე, დილის ათ საათამდე. ელექტრონის, ორთქლის და ცხენის მიმოსვლა სულაც შეჩერებულია; ან კი ვისთვის და რისთვის უნდა იმოძრაონ, თუ მუშებს, თვით მოძრაობის ღერძებს, ჯერ ისევ სძინავთ! იშვიათად ჩაიარს მხოლოდ მერძევე თავის ხელის გოგორათი, მაგრამ არც მისგან ისმის ჩვეულებრივი ამოძახილი, იგიც ჯენტლემენურათ ექცევა მძინარა შავ მუშტრებს. აქაურ მუშის შრომა აღემატება კონტინენტისაზე არა მარტო ნაყოფიერებით, არამედ—ინტენსივობითაც. ეს კი უზომოთ ღლის მას და მიტომ კვირის ბოლოს ის ერთხელ მაინც იძინებს „ლოთიანათ", მაგრამ მოხდება, არ დაეძინება მას უქმე დილას, მაშინ ის მყისვე ზეზე წამოიჭრება; მას არ უყვარს ლოგინში ზმორვა და ღლაბუცი, ლოგინი ძილისთვისაა, ამბობს ის. მერძევეც სწორეთ ასეთ „ეგზემპლიარებს" უთვალთვალებს გარედან. შემდეგ, როცა ყველა წამოდგება, ხმაურობა-მოძრაობაც გაჩაღდება. დანაყრდებიან და მიილტვიან, ვინ იცის, სად და რისთვის. ერთი მიეჩქარება პარკისკენ მიტინგებზე, მეორე უხატო და დამოუკიდებელ ეკლესიისაკენ კონცერტ-ლექციის მოსასმენათ, მესამე სანავოსნოთ ტბებზე, მეოთხე საბურთაოთ და სხ.

პარლამენტმაც შესწყვიტა მუშაობა აღდგომის მესამე დღემდე, მაგრამ თვით პარლამენტიორების მოსვენებაზე ლაპარაკიც შეიძლება. გადაკითხვის დღე კიდევ წინაა და თინაც სულ ახლოა. ყველანი დაღვრემილი და უკმაყოფილო არიან გასული ხანმოკლე სხდომებით ორივე პალატაში. მთავრობამ არ შეასრულა ხალხისაგან მოცემული მანდატი. მან ვერ გაიყვანა ვერც ეგრ. წოდ. „ღარიბ ხალხის ბიუჯეტი", ვერც ლორდთა „ვეტოს" შეებრძოლა სინდისიერათ. სამაგიეროთ, მან იკისრა და კიდეც გაიყვანა **კონსერვატორების** მთავარი მოთხოვნა ფლოტის და ჯარის უზომო გაძლიერებაზე. ბოლოს ასკვიტმა უფრო სადეკორეციოთ აღთქმული რეზოლიუციებიც წარმოადგინა, მაგრამ ამეებზე ახალ ნაღდგომებს იქნება სჯაბაასი და მეც მაშინ მოგიწერები. მაშინ, როდესაც ქვედა პალატაში ასე უადგილოთ და უილაჯოთ მიზლაზუნობდენ ლიბერალნი, ზედა პალატაში ლორდები დიდის რიხით „კანონმდებლობდენ": მათ მიიღეს როზბერის რეზოლიუციები ლორდთა პალატის „განსაახლებლათ და განსამტკიცებლათ", მათივე სიტყვით რომ ვთქვათ. კრიზისი ჯერ კიდევ მძვინვარებს, როგორც ხედავთ.

ნამდვილი „ქრისტეს ტირილი" ლაბურისტების ფრაქციაშია, და ეს არცაა გასაკვირი. ლიბერალთა მხდალი და უპირო მთავრობის უპრინციპო და უკამენტარო მიმხრობა მძლავრზე სვამს მუშათა პარტიის ეგრედ წოდ. დამოუკიდებლობას. მისი ორმოცი დეპუტატი თითქო არც კი ისხდა სათემო პალატაში, როცა იქ დიდათ საყურადღებო კითხვები ირჩეოდენ, არც ანგარიშს უწევდა მათ ვინმე. მათ გაუშვეს ფრიად მოხდენილი წუთები სამინისტროს ღირსეულათ დასატუქსავათ და საკუთარი დამოუკიდებელი ტაქტიკის ხაზ-გასასმელათ. კეირ-ჰარდიმ პირდაპირ და მოურიდებლათ განაცხადა გაზეთში და მიტინგებზე: თუ ასე ბრიყვულათ ვიარეთ, მუშათა პარტია უფსკრულისაკენ იქს პირ-

## ბ. რობაქიძის ლექცია ოსკარ უაილდზე
(რელიგია მშვენიერებისა).

ჩვენ არ ვეკუთვნით იმათ რიცხვს, ვისაც ბ. რობაქიძე „მე 20 საუკუნის ფილოსოფოსათ" მიაჩნია. ბევრი ამას მასხრული კილოთი ლაპარაკობს, რასაკვირველია, მარა ბევრია ისეთებიც, რომელთაც გულუბრყვილოთ სჯერათ, რომ ბ. რობაქიძეს რაიმე კავშირი ან დამოკიდებულება აქვს ფილოსოფიასთან.

ჩვენ ბ. რობაქიძის ლექციების შემდეგ მუდამ ერთი და იგივე შთაბეჭდილება გამოგვქონდა: რობაქიძე ერთობ ზერელეთ, ერთობ დილეტანტურათ ეხება იმ კითხვებს, რომელნიც შეადგენენ მისი ლექციების შინაარსს. ბ. რობაქიძეს ძალიან ნაკლები ცოდნა აქვს, არ ეტყობა სრულებით ერუდიცია და, ვიტყვით პირდაპირ, ჩვენ ყოველთვის გვიკვირდა თუ როგორ გამოდის ასეთ პირობებში საჯაროთ. იმ გარემოებას, რომ ქართველი საზოგადოება ბლომათ ეტანება მის ლექციებს, ჩვენ ვხსნიდით იმით, რომ ჩვენი საზოგადოება ინტელექტუალურათ ძალიან დაბალ საფეხურზე დგას და მისი ესტეტიური გემოვნება და გონებრივი ინტერესები არ გასცილებიან პრიმიტიულ ფსიხიკას. საზოგადოება სტკბება „სიტყვების მუსიკით", ის აღტაცებაში მოყავს სიტყვების რახა-რუხს და ტაშის ცემით აჯილდოვებს „მემუსიკეს", რითაც თავის თავს აძლევს გონებრივი სიღატაკის მოწმობას.

ჩვენ დავაკვირდით რამოდენიმე ახალგაზრდა ქალს, რომელნიც ბ. რობაქიძის ფრაზეოლოგიამ აღტაცებაში მოიყვანა და ტაშის ცემით ხელები გაისივეს. შინაარსი ამ ლექციისა მათ, ცხადია, არ ესმოდათ (რადგანაც ლექცია უშინაარსო იყო) მარა მაინც უკრავდენ ტაშს.

სხვა რომელიმე გონებრივათ უფრო მაღლა მდგომ საზოგადოებაში ბ. რობაქიძეს პირველ ლექციის შემდეგ ეტყოდენ: „უმაწვილო, სანამდის სხვის სასწავლებლათ გამოხვიდოდეთ, ცუდი არ იქნება თვითონ საკმაოთ ისწავლიდეთ", და, რასაკვირველია, სამუდამოთ გამოესალმებოდენ მას.

ჩვენი საზოგადოება კი მას გუნდრუკს უკმევს, ხელის გულით დაჰყავს, დაფნის გვირგვინს უწნის, ტრიუმფს უწყობს და რა გასაკვირია, რომ გათამამებული ტრიუმფატორი იმის მაგივრათ, რომ თვითონ ისწავლოს, მასწავლებლის ტრიბუნაზე ადის და სხვის სწავლებას ჩემულობს.

ბ. რობაქიძეს ჯერ კიდევ ბევრი სწავლა და მაცადინეობა სჭირია, რომ მას ასეთი საპატიო როლი ვაკუთვნოთ.

მარა სწავლა თხოულობს შრომას, მოქმედებას, ეს კი ეწინააღმდეგება „მშვენიერების რელიგიას", რადგანაც ამ «რელიგიის» მომხრეთა აზრით, როგორც თვით ლექტორმა განაცხადა, „უმოქმედობა უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ, ვიდრე მოქმედება".

როგორც ხედავთ, ეს „რელიგია" უმოქმედების, უსაქმურობის სანქციაა და ამ „რელიგიის" მოციქული ბ. რობაქიძე, ცხადია, ვერც ისე ადვილათ უღალატებს თავის „რელიგიას".

როცა ლექციის დასაწყიში ბ. რობაქიძემ განაცხადა, რომ იმ თემას, რაზედაც ის კითხულობს (ე. ი. ოსკარ უაილდის პოეზიას) ვიწრო კავშირი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებასთანო და შემდეგ კითხვაზე—რა აინტერესებს უფრო ამ ჟამათ ქართველ ინტელიგენციასო—უპასუხა ტერიტორიის საკითხიო, ჩვენ თუმცა გაგვეცინა, მარა მაინც მოუთმენლათ ველოდით როგორ დააკავშირებს ბ. რობაქიძე ისეთ, თუმცა ანტისაზოგადოებრივ, მარა საინტერესო მოვლენას, როგორიც არის ოსკარ უაილდის პოეზია ტერიტორიის საკითხთან.

მარა ჩვენ სულ ტყუილა მოველოდით, რომ ბ-ნ რობაქიძე გვაჩვენებდა კავშირს ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრების და უაილდის პოეზიის შორის. ეს ფრაზა მან ისე წამოისროლა (взболтнулъ) და მას რომ დამტკიცება უნდა, სულაც არ უფიქრია. ამის გამო ჩვენ ვერ შევამჩნიეთ ლოღიკური ძაფი მის ლექციის შესავალის და შინაარსის შორის, ან უკეთ რომ ვსთქვათ, შევამჩნიეთ ისეთი ლოღიკა, როგორიც არის, მაგალითად, ცნობილ რუსულ ანდაზაში: „въ огородѣ бузина, а въ Кіевѣ дядька". სად ჩვენი საზოგადოებრივი ინტერესები და სად ინგლისელი ინდივიდუალისტის პოეზია! სად...

როდესაც შემდეგ ბ-ნ რობაქიძემ გვაუწყა, რომ ოსკარ უაილდის პოეზიას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ ერის კულტურულ, სულიერ გაერთიანებაშიო, ჩვენ ისევ ვერ შევიკავეთ სიცილი (გაგვახსენდა въ огородѣ...) მარა მაინც გუჩკოვის ტაქტიკას დავადექით, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, მდგომარეობს მოცდაში—ჩვენ ვუცდით.

ჩვენ, რასაკვირველია, სულ ტყუილა ვუცდიდით: ბ. რობაქიძე არც ფიქრობდა, ალბათ, ამაზე; მოადგა ენაზე და წამოისროლა აფორიზმი, მერე თვითონ დაავიწყდა.

საერთოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. რობაქიძე გულმავიწყი კაცია, იმას არ ახსოვს რასაც ორიოდე წუთის წინ ლაპარაკობდა. დაგვპირდა ლექციის მესამე ნაწილში ვილაპარაკებ „დე პროფუნდის"-ეო, მარა მიავიწყდა ეს და კრინტიც არ დაუძრავს ამ უაილდის ერთ უმთავრესთაგან თხზულებაზე, მიუხედავათ იმისა, რომ პროგრამაშიც ეს სპეციალურათ მოხსენებულია. უაილდის თხზულებათა შინაარსის გადმოცემაო, სთქვა მან, ისეთივე უაზრობაა, როგორც მუსიკალური სიმფონიის გადმოცემაო, უკეთეს შემთხვევაში ეს დამახინჯება იქნებაო, მიუხედავათ ამისა, გულმოდგინეთ შეუდგა მათ შინაარსის გადმოცემა-დამახინჯებას. რათ ჰქნა ეს? დაავიწყდა ის, რასაც ორი წუთის წინ ლაპარაკობდა. ამისთანა კაზუსები ხშირათ ემართება ბ. რობაქიძეს.

მარა ეს არაფერია. როდესაც შემდეგ ბ. რობაქიძემ გვამცნო, რომ სულიერ გაერთიანებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ნივთიერს, რომ ეს უკანასკნელი შედეგია პირველის ჩვენ არ გაგვკვირვებია, რადგანაც ბ. რობაქიძისაგან ჩვენ არ მოველოდით, რასაკვირველია, ჭეშმარიტ და მეცნიერულ ანალიზს საზოგადოებრივ ცხოვრებისას, რადგანაც კარგათ ვიცით, რომ „ულამაზეს ქალს არ შეუძლია მოგვცეს იმის მეტი, რაც თვითონ აქვს".

თუმცა ისტორიული ფაქტები, მეცნიერული ისტორია ჩვენ გვასწავლის, რომ სულიერ გაერთიანებას წინ უძღვის ნივთიერი, რომ კულტურული გაერთიანება შეუძლებელია მანამდის, სანამდის ერი არ გაერთიანებულა ნივთიერათ, მარა ზედმეტი იქნებოდა ბ-ნ რობაქიძისაგან მოგვეთხოვა ისტორიული ფაქტების ცოდნა და მეცნიერებაზე მსჯელობა—ეს აღემატება მის ძალ-ღონეს.

გარდა ამისა ჭეშმარიტების და მეცნიერული მსჯელობის მოთხოვნა ჩვენის აზრით უსამართლობა იქნებოდა ბ. რობაქიძისაგან, რადგანაც ის მომხრეა ოსკარ უაილდის ხელოვნების თეორიის, რომლის შინაარსი ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ პოეტის სიტყვებით:

„Тьмы низкихъ истинъ намъ дороже
Насъ возвышающій обманъ".

თუმცა ეს თვისება ოსკარ უაილდის პოეზიისა აღნიშნა თავის ლექციაში ბ. რობაქიძემ, მარა იმდენათ ბუნდოვანათ, რომ ჩვენ ვეჭვობთ მსმენელმა მკაფიო და ნათელი წარმოდგენა იქონიოს ამის შესახებ.

საერთო შეხედულება ბ. რობაქიძისა უაილდის ესტეტიურ ინდივიდუალიზმზე დოგმატიურია. ის უკრიტიკოთ ღებულობს მის თეორიას, ამიტომ, ჩვენ არას დავკარგავთ თუ რობაქიძის მაგივრათ მკითხველის ყურადღებას პირდაპირ შევაჩერებთ ინგლისელ მწერალზე.

ოსკარ უაილდმა თავის „Вымыслы"-ში, რომელიც ესტეტიურ მანიფესტათ ითვლება, ომი გამოუცხადა რეალიზმს, მეცნიერებას, მეცნიერულ გამოკვლევას და სასტიკათ დაგმო ისინი,

იმ გარემოებაში, რომ სიყალბეს თანდათან ეკარგება ნიადაგი და ჭეშმარიტება იმარჯვებს. უაილდი დიდ უბედურებას ხედავს.

მას მოსწონს ძველი ისტორიკოსები,

...ჰას არ ეთანხმება მინისტრის ...ლის მომლოდინე რამზეი მაკდონ... ...ეს თვით ლიბერალთა შორის ...ომიერესი და „უჭკვიანესი სოხ...ტი! სოც. დემ. „ჯასტისმა" კი ...აუგო მუშათა პარტიას, რასაკ...ლია ნაადრევათ და თანაც უკად...ათ.

მუშათა პარტია არ მოკვდება, მე ...მა ვარ დარწმუნებული, „სიბეცეს ...დალეს იქნენ მხოლოდ მისი ზოლ...ლიდერები. ამის მჭერმეტყველური ...იშრ-ა ერთი ბიზოდი. მიდ-კლამორ... მალაროებში, სამხრეთ უელსში, ...ბითი არჩევნებია დანიშნული, ...ქაური ლიბერალი დეპუტატი მაღალ სამ...ახურში მიიწვი სამინისტროში. მუშებ...ა არც აკიდეს არც აცხელეს ...ა საკუთარი კანდიდატი წამოაყე...ეს იქ, ისიც ცნობილი სოციალის...ტი. ლიბერალთა ცენტრალურმა კომი...ტეტმა ვერ გაბედა მოპირდაპირე კანდი...ს წამოყენება, თუმცა აგერ ასი წე...ეს მანდატი განუწყვეტლივ ძათ ...კნოდა. მათი ადგილობრივი ...ეტმა კი არ დაყაბულდა ამაზე და ...ი ბრძოლა გამოუცხადა მუშათა ...ატს, და ეს მარტო იმიტომ, რომ ...ოციალისტია. კონსერვატორებმაც ...იზნით დახიეს უკან თავიანთი კან...დატი და ლიბერალებს მიეკედლენ! პირველი მაგალითია ინგლისის ის...რიაში: ორი ბურჟუაზიული პარტია ...ობს ახლო ნათესაობას ურთიერთ ...ის და უპირდაპირდება პროლეტა...ტს. ვნახოთ, როგორ გაიზრდება ეს ...თლაც საეპოქო ლტოლვილება.

ა. ჩ.

# ახალი ამბები

✦ **ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 29 მარტს შესდგა თფილისის საბჭოს ჩვეულებრივი სხდომა. პირველათ საბჭომ მოისმინა ხმოსან ფრიდონოვის წერილი, რომლითაც ის მადლობა უცხადებს საბჭოს მისი 35 წლის ხმოსნობის გამო მილოცვისათვის. საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება ამიერ-კავკ. რკინის გზის სახლებზე შესაფასებელ გადასახადების დადგენის შესახებ. საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება, დაამტკიცა აგრეთვე მოხსენება იმის შესახებ, რომ თფილისში მოწვეულ იქნან მსურველნი გაზის ქარხნის აგებისა. როგორც ვიცით ქალაქმა 7800 მ. გადასდო პუშკინის სახელობის სკოლის შენობის ასაგებათ, რადგან ეს ფული არ კმარა ამ საქმისათვის, ქალაქის საბჭომ დამატებითი 1500 მანათი გადასდო ამისათვის. ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ, რიცხვით 11 კაცს, ეპატია დარჩენილი შესაფასებელი გადასახადები 1118 მან. საბჭომ დამტკიცა გამგეობის მოხსენება დიდუბის ბიბლიოთეკის დასახმარებლათ 100 მ. გადადების შესახებ. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ ეტლებზე განსაზღვრული ნიხრის დაწესების შესახებ. გამგეობის მოხსენებით ნიხრის მაქსიმუმათ უნდა დაინიშნოს 40 კ., ერთი საათით—80 კ. საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გამგეობის მოხსენება მეეტლეების ნიხრის შესახებ. მეეტლეების ნიხრი მალე დაიბეჭდება და მსურველთ დაურიგდება სახელმძღვანელოთ.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** ორშაბათს, 29 მარტს შესდგა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა კრება; დაადგინეს, გამართოს 4 აპრილს ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაზე. ლექციას წაიკითხავს ნ. ე. ერმოლაევი. დაადგინეს აგრეთვე 11 აპრილს სახალხო სახლში გამართონ „ჩეხოვის დილა".

✦ **ქალაქის გამ. შუამდგომლობა.** ქალაქის გამგეობას ხელ-ახლათ შუამდგომლობა აღუძრავს გუბერნატორის წინაშე, რათა გუბერნატორმა ნება დართოს მას როლოვის მიწა შეიძინოს იმ ფასებში, რომელიც ქალაქის საბჭომ დაამტკიცა ამ მიწის შესასყიდათ. ე. ი. 12,000 მ. ქალაქის გამგეობა თავის შუამდგომლობას იმით ასაბუთებს, რომ ხსენებული მიწა ქალაქისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და სხვა ადგილას მიწის ყიდვა უფრო ძვირათ დაჯდებაო. როგორც ვიცით, ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება ამ საქმის შესახებ გუბერნატორმა წინათ არ დაამტკიცა, რადგან ხსენებული მიწის ფასი—12,000 მან. გუბერნატორის მიერ ზედმეტ ფასებათ იქნა ცნობილი. იმედი აქვთ, რომ უკანასკნელ შუამდგომლობას გუბერნატორი დაამტკიცებს.

✦ **კავკასიის უმაღლესი სასწავლებლის** დამაარსებელი კომიტეტის წევრთა კრება დანიშნულია დღეს.

✦ **ქალაქის გიდრავლიური სადგური.** ქალაქის გიდრავლიური სადგურის წინასწარ საქმეთა მოსაწყობათ საჭიროა სულ 800 მან. ამის შესახებ ქალაქის ინჟინერს ქალაქის გამგეობაში ვრცელი მოხსენება წარუდგენია. სადგურის აგებას მალე შეუდგებიან.

✦ **ავაზაკებთან შეტაკება.** გორიდან ფფილისში ცნობები მოვიდა, რომ იქ 29 მარტს, ადგილობრივ პოლიციას შეტაკება მოსვლია ავაზაკთა ბრბოსთან. სროლის დროს მოუკლავთ ერთი ავაზაკი, დაუჭრიათ ორი, დანარჩენი მიმალულან. ტყეში უნახავთ სისხლის კვალი. ამის გამო გუშინ, 30 მარტს, პოლიციელი ძალლები გორში გაგზავნეს ავაზაკების მოსაძებნათ.

✦ **შემოწირულებათა შეკრების ნებართვა.** საქართველოს ეგზარხოსმა ნება დართო ეკლესიებს შემოწირულება აგროვონ კლექით ავათმყოფთათვის აბასთუმანში სანატორიის დასაარსებლათ.

✦ **ტრამვაის მიმოსვლა.** ხელმძღვანელობის ძალით ტრამვაის ვაგონების მიმოსვლა 1 აპრილიდან შემდეგი წესით იქნება: მიმოსვლა დაიწყება დილის 6-ს საათ. და გასტანს საღამოს 11-ს ს. ისე, რომ რკინის გზის სადგურიდან უკანასკნელი ვაგონი საღამოს $11^1/_2$ ს. გავა და ერევნის მოედნიდან კი ღამის 12 საათზე.

✦ **ამიერ-კავ. რკინის გზის ექსპლოატაცია.** «უ. რ.»-ს გამოანგარიშებით ამიერ-კავკასიის რკინის გზას წმინდა შემოსავალი 1909 წელს უდრის სულ 6,559,100 მ.—ე. ი. 1908 წ. წმინდა შემოსავალზე 3,311,000 მან. მეტი. შემოსავალი უდრის 27,128,800 მ., ამათგან 5,177,000 მ. შემოსულა მგზავრებისაგან და გადასაზიდ ნივთებისაგან. დახარჯულა სულ 20,561,700 მ. ამათგან 19,503,700 მ. დახარჯულა რკინის გზით მოსამსახურეთა ჯამაგირებათ, მოულოდნელი ხარჯები 1,050,000 მ. უდრის.

✦ **ქუთათური მასწავლებელი კუსტინოვიჩი.** სამოსწავლო ოლქის ინსპექტორს, რომელიც ამას წინათ ქუთაისში იყო წასული კუსტინოვიჩის ცნობილ საქმის გამოსაძიებლათ, უდანაშაულოთ უცვნია კუსტინოვიჩი და თავის ადგილზე დაუტოვებია. („დრ.")

✦ **სამართალში მიცემა.** სამსახურის ასრულების დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის სამართალში მისცეს აწყურის უბნის ყოფილი ბოქაულები, ლ.—უზნაძე და პ. სოსიე.

✦ **გადასახლებულთა შეპყრობა.** 29 მარტს პოლიციამ შეიპყრო ადმინისტრატიული წესით გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული თფ. მოქალაქე კ. მ. მელხაძე. ამავე დღეს, ჩხრეკის დროს სხვადასხვა ადგილებში პოლიციამ შეიპყრო 50 უპასპორტო.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 29 მარტს საღმოს 7 საათზე, წავკის ქუჩაზე, ე. ნ. მოშკინამ, თავის მოწამვლის განზრახვით კარბოლის სიმჟავე მიიღო. ავათმყოფი მიხაილოვის საავათმყოფოში გაგზავნეს. თავის მოწამვლის მიზეზი ოჯახური უკმაყოფილება და სიღარიბე ყოფილა.

—

### შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ნომერში მოთავსებულ წერილში—«რა გვაქვს საერთოი» შეცდომით დაბეჭდილა: მარა კარგიც რომ გამოდგეს საბუთათ ეს ცირკულიარი—ამაშია არა მარტო ჩვენი ტრაგიზმი და სხვა. აქ გამოტოვებულია: ის არის საერთო. ასე რომ, უნდა იყოს: კარგიც რომ გამოდგეს საბუთათ ეს ცირკულიარი—ის არის საერთო, ამაშია არა მარტო ჩვენი ტრაგიზმი და სხვა... წერილის ბოლოში: სთქვას, „ჰო" იქ, სადაც საჭიროა, უნდა ეღიაროს და სხვა. აქაც გამოტოვებულია სიტყვა ი ს ი ც. უნდა იყოს: ისიც უნდა აღიაროს და სხვა.

—

**გურია.** სოფ. ლიხაურში ხალხმა შეარიგა ს. გოგონიძე და ვ. გორდელაძე, რის შემდეგ გორდელაძე თავის ნებით გამოცხადდა პოლიციაში, საიდანაც ის ციხეში გაგზავნეს.

— როგორც ქვემო გურიიდან გვატყობინებენ, გურიელების და ჰყონიების გადასახადი „ნედოიმკებს" გლეხებს ახდევინებენ, რის გამო აუწერელი მდგომარეობაა თურმე.

— ოზურგეთში ამას წინათ აღმოჩენილ, წყალში ჩაყრილ ძველებურ ხელის სტამბის ნაქანის გამო დაატყვევეს ვასილ აბაშიძე.

— ოზურგეთში გაანთავისუფლეს ამას წინათ დაჭერილი ს. ხურციძე.

### ეთი საკვირველი ამბავი.

(უკანასკნელი მიმართვა.)

გაზ. „მომავლის" № 101-ში მე უამბე მკითხველ საზოგადოებას იმის შესახებ, თუ როგორ და რა პირობებში ერთმა ჯგუფმა მოიპოვა მე ბათუმის ქარხნების ისტორიის გამოკვლევა (სახელდობრ, მათი დაკეტვის მიზეზების გამოძიება 1905 წ.) ამაზე აღარ გავჩერდები. მოვაგონებ მკითხველებს მხოლოდ აი რას: ვინაიდან კერძო წერილების საშუალებით მე ვერას გავხდი, ე. ი. ვერ ვეღირსე პასუხს იმათთაგან, ვის ხელშიაც ჩემი შრომა ჩავარდა, ამიტომ მე გაზეთის საშუალებით ვთხოვდი პასუხს და დარწმუნებულიც ვიყავი იმაში, რომ ეს საშუალება მაინც გასჭრიდა, მაგრამ თურმე ზოგიერთ შემთხვევაში არც ეს საშუალება ვარგებულა. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიაც. ის პირნი, რომელთაც მე გაზეთის საშუალებით მივმართე, იმდენათ მოწოდებულნი აღმოჩნდენ, რომ გაზეთის საშუალებით მიმართვაც კი უყურადღებოთ დატოვეს და ხმა გაკმინდეს. წერილის დაბეჭდვის შემდეგ გადის აგერ სამი თვე და ისინი კი პასუხს არ იძლევიან. მაგრამ არა, ამას ცოტა შესწორება უნდა. ვინაიდან ჩემი წერილის დაბეჭდვა გაზეთში დაგვიანდა, ამიტომ იანვრის პირველ რიცხვებში მე მივმართე ბათომში კ. კ—კს ეცნობებია ჩემთვის ღია წერილის საპასუხო ბლანკზე, რომელიც მე გავუგზავნე წერილთან ერთათ, თუ როგორ იყო საქმე ჩემი ხელნაწერის შესახებ. პირველ თებერვალს მისგან მივიღე შემდეგი ღია წერილი, რომელიც აქ სიტყვა-სიტყვით მომყავს: „ძვირფასო ფილიპე! კომისია დამნაშავეა შენს წინაშე, რომ მან შენი შრომის განხილვა დააგვიანა. კომისიის უმრავლესობის აზრით შენი შრომა სერიოზულია და, მიუხედავათ მისი გამოქვეყნების დაგვიანებისა, მას დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიისათვის და კერძოთ ბათუმისა და ბაქოსთვის, მაგრამ კომისია ფიქრობს, რომ, ენის რედაქციის გარდა, საჭიროა ალაგ-ალაგ შემოკლება ან გამოშვება. ვინაიდან კომისიამ არ იცის, თუ როგორ მიიღებ შენ ამას, ამიტომ იგი ჩემი საშუალებით გთხოვს გვიპასუხო: თანახმა ხარ შენ ამ შემოკლებაზე, თუ არა. თუ თანახმა ხარ, კომისია გამოგიგზავნის შენ ხელნაწერს იმის ჩვენებით, თუ რა უნდა შემოკლდეს ან შეიცვალოს. თუ თანახმა არა ხარ, ხელნაწერს დაუყოვნებლივ გამოგიგზავნით". ჩემ აღელვებას საზღვარი არ ქონდა! სად იყო ამდენ ხანს კომისია? რათ ახლა მაინც საჭიროთ არ დაინახეს ხელთნაწერის გამოგზავნა იმის ჩვენებით, თუ რა უნდა შემეცვალა ან გამომეშვა? რათ მელაპარაკება კომისია მესამე პირის საშუალებით? მე შევიკავე აღელვება და დაუყონებლივ მივსწერე იმავე კ—კს, რომ ხელთნაწერი გამოეგზავნათ და დაესახელებიათ ის ადგილები, რომლების შეცვლა ან გამოშვება საჭირო იყო იმათი აზრით. ვადას ვუდებდი თებერვლის დასასრულს. ჩემი წერილის გაგზავნის შემდეგ გავიდა თვე ნახევარზე მეტი; ამ ხნის განმავლობაში მე რამდენიმეჯერაც შემეძლო პასუხის მიღება, რომ კომისიის წევრებს ეს ენებებიათ. ამას შემდეგ მე მათ აღარ მივმართავ, შეუძლიანთ იყვენ დამშვიდებით! თავის მიზანს, ალბათ, მიაღწიეს და ესეც კარგია.

მხოლოდ მკითხველების საყურადღებოთ აქ მოვიხსენიებ ორ გარემოებას. პირველი: თებერვლის 1-ლ რიცხვში ჟურნალ „ნა კავკაზე"-ეს რედაქციამ მომწერა, რომ ჟურნალის მახლობელ ნომერში, რამდენიმე წერილი იქნება მოთავსებული ნავთის მრეწველობის შესახებ კავკასიაში და ამიტომ მეტათ სასურველია თქვენი სტატიის გაცნობა რაც შეიძლება ჩქარაო. ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ თებერვლის 15-მდე გამოგზავნიდეთო. მარქსისტული შეხედულების წინააღმდეგ რედაქციას პრინციპიალურათ არაფერი არა აქვსო.—რედაქცია დარჩა ჩემგან დატყუებული, ვინაიდან ვერავითარი პასუხი ველარ მივაწოდე კომისიის მეოხებით.

მეორე გარემოება: კომისიის წევრები თითქო მამშვიდებენ, რომ შენს შრომას, მიუხედავათ გამოქვეყნების დაგვიანებისა, მაინც დიდი მნიშვნელობა ექნება კავკასიისათვისო. რამდენათაც სასიამოვნო არ უნდა იყოს ჩემთვის ასეთი აზრი კომისიისა, მაგრამ მე თვითონ ასეთი აზრის არა ვარ ჩემ შრომაზე. საქმე იმაშია, რომ ჩემ შრომას საფუძვლათ უდევს სტატისტიკური მასალა ნავთის მრეწვე-

---

...ამლებიც იმდენათ ფაქტებს კი არ აქცევდენ ყურადღებას, რამდენათ თავის ...თამაშებულ ფანტაზიის ქმნილებებს.

„ეხლა კი,—სასოწარკვეთილებით დასძენს უაილდი,—თქვენ დაინახავთ რომანისტებს, რომელნიც სხედან ბრიტანიის მუზეუმში და ურცხვათ (ხაზი ჩვენია) სწავლობენ თავის საგანს.

როგორ მოგწონთ ეს—„ურცხვათ"?! ჩვენ გვეგონა, რომ უვიცობა, დილეტანტობა იყო სამარცხვინო საქმე. უაილდი კი წინააღმდეგს ფიქრობს და რა გასაკვირია, რომ ინგლისელ ინდივიდუალისტის მოციქულს საქართველოში ისე სძულს ჭეშმარიტება და მეცნიერება, როგორც მის ბრიტანელ მასწავლებელს, მარა მათ შორის ცოტა განსხვავებაა: სწორეთ ისეთი, როგორიც იმ გულუბრყვილო კაცის, რომელსაც საკმარისი ეგონა ძაღლისთვის კუდი მოეჭრა, რომ ალკივიადი გამხდარიყო და თვით ალკივიადის შორის. თუმცა ირონიულათ ამბობს გეინე,—ალკივიადმა ძაღლს კუდი მოჭრა, მარა საკმარისი არაა ძაღლი დაასახიჩრო, რომ ალკივიადი გახდე.

გარდა ამისა ცხონებული ნიცშესი არ იყოს, ბ. რობაქიძეს აფორიზმები უყვარს, მარა მათ აფორიზმების შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც ალკივიადის და... ზოგიერთ ამ პაროდოქსალურ აფორიზმებში მოგვაგონებს ზევით მოხსენებულ რუსულ ანდაზას: въ огородѣ... ან შეიძლება ისეთ სიბრძნეს, როგორც მაგალითად, შემდეგი აფორიზმი ბ. რობაქიძესი: „ერთი ტაეპი ვეფხვის ტყაოსნიდან უფრო ძვირფასია, ვიდრე 10,000 დესეტინა მიწა".

...ს აფორიზმი არ მოკვდება ქართულ ლიტერატურაში.

დავუბრუნდეთ ო. უაილდს. ცოდნა სირცხვილია, გაუმარჯოს უვიცობას—აი დევიზი ინგლისელ მწერლის; და როდესაც ბ. რობაქიძე, რომელსაც ისე გაუტაცნია ინგლისელ ინდივიდუალისტის თეორიას, ახორციელებს თავის ლექციაში ამ თეორიას, თქვენ არ უნდა გაგიკვირდეთ. მას სხვანაირათ არ შეუძლია მოიქცეს.

საყურადღებოა ოსკარ უაილდის აზრი ხელოვნებაზე.

ინგლისელი ესტეტიკოსი სერიოზულათ ამტკიცებს, რომ ხელოვნება კი არ არის ცხოვრების გამოხატვა, არამედ—წინააღმდეგ: ცხოვრება ბაძავს ხელოვნებას. მთელი ბუნება უაილდის აზრით ხელოვნებამ შექმნა. თქვენ ხედავთ, რომ მთელი ლონდონი ბურუსში გახვეული, მარა თქვენ გგონიათ შეიძლება, რომ თქვენ შეამჩნიეთ ეს ბურუსი, რომელიც დასწოლია ლონდონს. „არა, ბურუსი ხელოვნებამ შექმნა, ის არ არსებობდა მანამდის, სანამდის ხელოვნებამ არ შეთხზა ის". ნიგილისტი ტურგენევმა და დოსტოევსკიმ შექმნეს... მეცხრამეტე საუკუნე უმეტეს ნაწილათ ბალზაკმა შექმნა.

ასეთი მაგალითები ო. უაილდს ბლომათ მოყავს იმის დასამტკიცებლათ, რომ ხელოვნებაა სარკე ცხოვრების და არა ეს უკანასკნელი ხელოვნების.

გარდა ამისა, ჩვენ უკვე ვსთქვით ზევით, რომ ოსკარ უაილდი უმოქმედობას უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე მოქმედებას, სიტყვას უფრო პატივსა სცემს, ვიდრე საქმეს.

მხატვრულათ ეს აზრები ოსკარ უაილდმა გამოთქვა თავის თხზულებებში, რომელთა რიცხვში პირველი ადგილი უჭირავს «დორიან გრეის პორტრეტს». დორიან გრეიმ შეიყვარა პატარა მსახიობი ქალი სიბილა, მარა მიატოვა მაშინვე, როგორც შეამჩნია, რომ სიბილამ ბუტაფორული სიყვარული რეალურათ გადააქცია. აქ მთავარი აზრი გამოხატა უაილდმა. ის ცხოვრებაში ეძებს სიცრუეს, მას სძულს რეალიზმი, სინამდვილე. ეს ერთი უმთავრესი მხარეთაგანია ბურჟუაზიის ფსიხიკის, რომელიც პირდაპირი შედეგია მისი მდგომარეობის თანამედროვე ცხოვრებაში. ბურჟუაზია თანდათან ზურგს აქცევს როგორც მეცნიერებას, ისე სინამდვილეს, რადგანაც როგორც პირველი, ისე მეორე ღალატობს მას და ის მისტიციზმს ებღაუჭება.

სამწუხაროთ, ჩვენ უადგილობის გამო ვერ შევჩერდებით ამ საინტერესო თხზულებაზე, რომელიც მშვენიერი სარკეა ინგლისელ „ზარმაცი კლასების", როგორც ამბობს მხატვარი ბეზილი იმავე რომანში.

ვერ შევჩერდებით აგრეთვე არა ნაკლებ საინტერესო ერთ აქტიან დრამა „სალომეა"-ზე და ვიტყვით მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ო. უაილდის „სოციალიზმზე".

„წიგნი სოციალიზმზე" მშვენივრათ ახასიათებს ოსკარ უაილდს, როგორც ბურჟუაზიულ იდეოლოგს.

უაილდის სოციალიზმი არის სოციალიზმი მდიდრების და არა ღარიბების, მყვლეფელების და არ გაყვლეფილების.

„**მდიდრების სასარგებლოთ** ჩვენ უნდა უარვყოთ კერძო საკუთრება"—ასეთია დევიზი ამ წიგნის. მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ბრიტანელ ინდივიდუალისტს არ სწამს არც კლასობრივი ბრძოლა, არც დემოკრატია, არც შრომა. მისი «სოციალისტური» იდეალი გამოიხატება სრულ უმოქმედობაში. აი როგორ ასურათებს ის მომავალ სოციალისტურ საზოგადოებას: „ისინი (ე. ი. მომავალი საზოგადოება) თავს შეიქცევენ კულტურით და მშვიდობიანობით, შექმნიან მშვენიერ ქმნილებებს ან **უმიზნოთ დაუწყებენ ცქერას ქვეყნიერებას აღტაცებით და სიხარულით**.

ასეთია ო. უაილდის „სოციალიზმი".

ჩვენ არ ვიცით, რათ არ მოიხსენია თავის ლექციაში ბ-ნ რობაქიძემ ეს ნაწარმოები, ურომლისოდაც ჩვენ მთლიან წარმოდგენას ვერ ვიქონიებთ ინგლისელ „ესტეტიურ ინდივიდუალისტზე".

როგორც ჩვენ ზევით უკვე ვსთქვით, ბ-ნ რობაქიძის შეხედულება ოსკარ უაილდის პოეზიაზე დოგმატიურია, არა კრიტიკული.

ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ინგლისელი მწერლის შემოქმედების ხასიათზე.

ჩვენ ოსკარ უაილდის „ესტეტიურ ინდივიდუალიზმს" როგორც საზოგადოთ ევროპის თანამედროვე ინდივიდუალისტურ პოეზიას ვუყურებთ, როგორც რეფლექსს თანამედ. რეალურ საზოგადოების ძალთა განვითარებისას ევროპაში. ის პირდაპირი გამოხატულებაა თანამედროვე კაპიტალისტურ ფორმების განვითარების თავის კრიზისებით და სოციალური კონფლიქტებით. თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების განვითარება თანდათან აცლის ნიადაგს გაბატონებულ კლასებს და მიაქანებს იმ საფლავისაკენ, რომელსაც მას უმზადებს მისი მოპირდაპირე კლასი. ბურჟუაზია ხედავს, რომ მას ღალატობს როგორც მეცნიერება, ისე სინამდვილე და აი, ის ორივეს უარ-ყოფს და დევიზათ იხდის.

„Тьмы низкихъ истинъ намъ дороже
Насъ возвышающій обманъ".

სამაგიეროთ, მოპირდაპირე კლასი სწორეთ მეცნიერებაში და სინამდვილეში პოულობს თავის ხსნას. სრულდება ის, რასაც ლასალმა უწოდა კავშირი მეცნიერების და მუშათა კლასისა.

ოსკარ უაილდმა საუცხოვო ხელოვნებით გამოხატა გზა-დაბნეული ბურჟუაზიის ლტოლვილებანი და ამ მხრით ის საინტერესოა არა მარტო თავის კლასისთვის, არამედ პროლეტარიატისთვისაც.

აი მოკლეთ ჩვენი შეხედულობა ოსკარ უაილდის პოეზიაზე.

ვათავებთ რა ჩვენ წერილს, უნდა შევნიშნოთ შემდეგი: თუ მსმენელი არ გაიტაცა ბ. რობაქიძის ერთგვარმა მუსიკამ, ის ადვილათ დაინახავს მის მეტაფორების და რიტორიულ სამოსელის ქვეშ ან ჭეშმარიტების სრულ წინააღმდეგობას, ან ცარიელ ადგილს.

თავიდან ბოლომდე ბ. რობაქიძის ლექცია უბრალო რეტორიკაა, რომელშიაც ვერც აზრს, ვერც ლოღიკას ვერ იპოვით.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ ცოტა მკაცრათ მოვეპყერით ბ-ნ რობაქიძეს, მარა მან იცოდეს, რომ მისთვის გაცილებით უფრო მავნებელია იმ გუნდრუკის კმევა და აღტაცება, რომლის ატმოსფერაში იმყოფებოდა ის აქამდის, ვიდრე მკაცრი, მარა სამართლიანი შენიშვნა მის ლექციაზე. პოეტმა სამართლიანათ სთქვა:

«Не бойся ѣдкихъ осужденій
Но упоительныхъ похвалъ».

გლ. ბაქრაძე.

ლობის შესახებ, რომელსაც ყოველ წლივ სცემს ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭო. ჩემ შრომაში სტატისტიკური ცნობები ნავთის მრეწველობაზე თავდებიან 1907 წლით. მაშასადამე, სრული ორი წლის მასალა იქ აღარ შესულა. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისეთ ხასიათის გამოკვლევაში, როგორიც არის ჩემი შრომა. დაგვენება არა თუ შესუსტებს ზოგიერთ დასკვნებს, არამედ—შეუძლია სრულებით დაუკარგოს მათ ძალა და მნიშვნელობა.—ვინ არის აქ პასუხისმგებელი? არა მგონია, რომ ეს კომისიამ იკისროს თავის თავზე. ყოველ შემთხვევაში, კომისიის მოქმედება მე ვერ ამიხსნია. ის მე მაკვირვებს.

ფ. მახარაძე.

17 მარტი, 1910 წ.

# უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი.

**ინგლისელების მოქმედება.** გაზეთ „რ. ს." გადმოცემით უკანასკნელი ხნის განმავლობაში ინგლისელები ნელ-ნელა იჭერენ სპარსეთის სრუტის ნაპირებს და შიგ ინდოელ ჯარის კაცების რაზმებს აყენებენ. სოფელ ჯიშეკში, ბუშირის მახლობლათ, ღამით გაუყვანიათ 500 ჯარის კაცი ოთხი ზარბაზნით. ეს რაზმი აქ დაბანაკდა და უმავთულო ტელეგრაფის სადგური გამართა. ჯარისკაცები შეუდგენ ბანაკის გარშემო მაგარი კედლების აგებას.

### საზღვარ-გარეთ

**ლოკაუტი.** ვესტფალიაში და სამხრეთ გერმანიაში ალების კავშირმა ლოკაუტი გამოუცხადა მშენებელ მუშებს ორი კვირით. ლოკაუტი გამოიწვია მუშათა კავშირის მოთხოვნილებამ, რომ განსაზღვრული ყოფილიყო მუშათა ხელ-ფასი. ალებმა დათხოვა გამოუცხადეს 50,000 მუშას.

### რუსეთი

**ოდესის ჭეშმ. რ. კ. საზოგადოება** კრებამ დაადგინა ზიზღი გამოუცხადოს „მიხაილ მთავარ-ანგელოზის კავშირის" თავმჯდომარეს პელიკანს, როგორც უმსგავსო „ინტრიგანს", «რომელიც რუსეთის ხალხს სძულს და არასოდეს თავის წრეში არ მიიღებს». გარდა ამისა, „კავშირმა" დაადგინა სთხოვოს ქალაქის თავს სამსახურიდან დაითხოვოს გლობაჩევი, «რომელიც სხვა და სხვა ქალაქებში თაიარება და გაზეთების საშუალებით „კავშირის" შინაური ცხოვრებიდან საიდუმლო ცნობებს აქვეყნებს. ამგვარივე შუამდგომლობით მიმართა „კავშირმა" სტოლიპინს გრ. კონოვნიცინის შესახებ („კავშირის" უფროსი სულის ჩამდგმელია).

**პოლიციელებთან შეტაკება.** ოდესაში ამ ჟამათ არმიის და ფლოტის სათადარიგო ჯარის-კაცების შემოწმება სწარმოებს. ზამოსლოვსკის პოლკის ყაზარმასთან დიდძალმა სათადარიგო ჯარის-კაცებმა მოიყარეს თავი, უმთავრესად ქარხნებიდან და სავაჭრო დაწესებულებებიდან. შეადგინეს შეკრება 500 კაცი. შემოწმებას ახდენდენ პოლკოვნიკი კოვანკო და კაპიტანი ნიკოლსკი. წესიერების დასაცველათ მოწვეული იყო 28 „გოროდოვოი" და 8 უბნის ზედამხედველი ბოქაულით.

პოლიციის ცნობებს თუ დავუჯერებთ, ზოგიერთი სათადარიგო ჯარისკაცები მთვრალები იყვნენ. ნაშუადღევის პირველ საათზე ბევრმა მოითხოვა დაჩქარებით შემოწმება და განთავისუფლება, რადგან მუშაობას ცდებოდენ. ზოგიერთებმა მუქარით მოითხოვეს მათ წიგნაკებში რიგის მიუხედავათ შესამოწმებელი შტემპელები დაესვათ. ბოქაულის განკარგულებით რამდენიმე კაცი დაიჭირეს და პოლიციაში გაგზავნეს. ამხანაგების გასანთავისუფლებლათ სათადარიგო ჯარის კაცები ქვებით შეიარაღდნენ და პოლიციელებს გარს შემოეხვივნენ. ასტყდა ხმაურობა. ჯარისკაცმა ბრონშტეინმა (35 წ.) პოლიციელს ქვა მოუქნია, პოლიციელმა რევოლვერი იძრო და დაახალა. ბრონშტეინი, სასიკვდილოთ დაჭრილი თავში, დაეცა. ამ შემთხვევამ სათადარიგო ჯარისკაცები მოთმინებიდან გამოიყვანა. პოლიციელებს ქვები დაუშინეს, ზოგიერთებმა გაქცევით თავს უშველა. გამოწვეულ იქნა დიდძალი ჯარი. მთვიდა ორი როტა ტყვიის მფრქვევლებით და ყაზარმებს ალყა შემოარტყეს. 2 საათზე აჯანყებულები დაამშვიდეს. ბრონშტეინი გარდაიცვალა. ბევრი სათადარიგო ჯარის კაცი დაატუსაღეს.

**გაფიცვები 1906—1908 წ.წ.** საქარხნო რევიზორს ბარზარს შეუკრებია სტატისტიკური ცნობები გაფიცვების შესახებ, რომელიც უკანასკნელი სამი წლის ნამდვილობაში მომხდარა. მოყვანილი ციფრებიეხება მხოლოდ იმ სამრეწველო დარგებს რომელნიც საქარხნო ინსპექტორების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. სულ მოხდა 10,579 გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობა მიუღია 2,024,581 მუშას. აქედან 1906 წ. მოხდარა 6,164 გაფ. 1,108,406 მ.; 1907 წ. 3,573 გაფ 740,074 მუშ. 1908 წ. 892 გაფიცვა 107,101 მუშის მონაწილეობით. გაფიცვების საერთო რიცხვიდან 10,579 მომხდარა ეკონომიურ ნიადაგზე რომელშიაც მონაწილეობა მიუღია 1,72241 მუშ. 1,348 გაფ., რომელშიაც მონაწილეობა მიუღია 206,811 მუშას, მუშების სასიკეთოთ დასრულებულა; 1,315 გაფ. (226,1 მუშ.) მუშების დამარცხებით და 1,27[illegible] გაფიცვა (207,462 მუშ.) მუშების და მრეწველების მორიგებით.

**დატუსაღება.** 22 მარტს პოლიცამ ვასილიევის კუნძულზე (პეტერბ.) ბინაზე დაატუსაღა 7 მოსწავლე, რომელთაც სოც.-რევ. პარტიის პროპაგანდისტობაში ედებენ ბრალს. დატუსაღებულების ბინაზე პოლიციამ ს. რ. პარტიის დიდძალი არა ლეგალური ლიტერატურა და საიდუმლო მიწერ-მოწერა აღმოაჩინა. ერთმა დატუსაღებულთაგანმა განაცხადა, რომ ს. რ. პარტიას ეკუთნის.

პოლიციამ გაჩხრიკა სტ. სოვეტ. ასტოლოვსკი, რომელსაც აღმოაჩნდა დიდძალი არა ლეგ. ლიტერატურა სახალხო სოციალისტების პარტიისა. „რეჩის" გადმოცემით სვიატოლოვსკის შვილს (სტუდენტს) აქვს 400 ცალი ს. რ. პარტ. დეკლარაცია. დეკლარაცია სასტიკად ჰკიცხავს პარტიაში გამეფებულ „ბიუროკრატიულ პატრიარქალურ წესებს და პარტიული ცენტრების სილ მოწყვეტას მასსისაგან".

# პროვინცია

**ს. პატარა ონი (რაჭა).** რაჭის მაზრის მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან. ივათათ ნახევრი ისეთ გლეხს, რომლისაც სახნავ სათესი მიწა ერთ ნახევარ დღეს. აღმატებოდეს ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ნახევარ ამ მიწისა წარმოადგენს ქვა-ღორღიან ადგილს ვენახიდან საზოგადოთ, რაჭა მთა-გორიანი ადგილია და ასეთი ადგილი ცოტა მოსავალს იძლევა. და რადგანაც ბუნება ხელს არ უწყობს გლეხს, ნახევარი წლის სარჩოც არ მოსდის. ღუპმა პურის მოიპოვა ეს იგი ემუქრება ქალაქებისაკენ სამუშაოთ. ხშირათ შეხვდებით რაჭველ მუშას არამც თუ კავკასიის ქალაქებში, არამედ—შიდა რუსეთშიაც. ის აქ წელებზე ფეხს იდგამს, დღე და ღამეს ასაწორებს, ეოველივე გაჭირვებას იტანს და სამწრის თვლით ნაშოვარ გროშებს სოფლისაკენ გზავნის ვინაიდან იქ ეგულება მშიერ-მწყურვალი დოთხს ანაბარათ დატოვებული ცოლ-შვილი, მაგრამ მაინც გვრავერს ხდება ასეთი გროშებით. თუ ორი-სამი კვირის სარჩო შეიძინა, ისიც დიდი თუ არ მივიღებთ მხედველობაში ათასნაირ გადასახადებს, რომელიც მოსავლიანობას არ აძლევს. ერთათ ერთი ბაზარი რაჭის მცხოვრებთათვის არის ქუთაისი, რომელიც დაშორებულია ქვედა რაჭაზე 60—70 ვერსით და ზემო რაჭაზე ორჯერ მეტით. რაჭველ გლეხს ხშირათ ფეხით უხდება ამოდენა მანძილის გავლა შეუძლებლობის გამო, ვინაიდან დილიჟანსის ფული 3—5 მ. და ხშირათ მეტიც მას არ მოეპოვება. აქ ის ფუთ სიმინდს 1 მ. 40 კ. ნაკლებ ვერ შოულობს, და დაუმატეთ ქუთაისიდან რაჭაში გადასატანი გზის ფული ფუთზე 50—60 კ. ასე რომ, რაჭველ გლეხს შინ მიტანილი ფუთი სიმინდი 1—90 კ. უჯდება.

ლის, რაჭის მცხოვრებთ ეკონომიური გამო გაჭირვება ერთი-ორათ უორკეცდება. ასეთ გაჭირვებაში მყოფ მცხოვრებლებში ხშირათ იკიდებს ფეხს სხვადასხვა ავათმყოფობა და ბევრი ესალმება წუთი-სოფელს, რადგან საექიმო დახმარებას სრულიად მოკლებულია. მთელ რაჭის მაზრაში არის ორი ექიმი, ერთი დაბა ონში (ზემო რაჭაში) და მეორე ამბროლაურში (ქვემო რაჭაში). სარგებლობა შეუძლია მხოლოდ ახლო-მახლო მდებარე სოფლებს.

1904 წელს ქუთაისის სკუბერნიო სამკურნალო სამმართველომ გახსნა პატარა ონში სამკურნალო პუნქტი აფთიაქით, ფერშლათ დანიშნეს მალაქია სადარაძე. პატარა ონის ახლო-მახლო მდებარე სოფლებს იმედი მიეცათ, რომ უწამლოთ და უექიმოთ არ ამოხდებოდათ სული, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ფერშლი მეტის მეტი ფულის მოყვარული გამოდგა. 3—4 ვერსტის მანძილზე 3—4 მან. იღებს. ეს კიდევ არაფერი, როგორც გავიგეთ, ბ-ნი სადარაძე თავის აფთიაქით ს. ჭრებალოში აპირებს თურმე გადასვლას და ეს კი ძრიად უხერხული იქნება მცხოვრებთათვის, რადგან პატარა ონი საშუალო ადგილათ ითვლება და ჭრებალოში ერთი აფთიაქი უკვე არსებობს.

სწავლა-განათლების მხრივ რომ რაჭა დაქვეითებულია და უკანასკნელი ადგილი უჭირავს, ეს ყველასათვის ცხადია. ჯერ იმდენად მოიპოვება სასწავლებლები და სადაც არის, არც ისინი იმყოფება სასურველ პირობებში. გასულ წელს პატარა ონში ორ-კლასიან სასწავლებელთან გახსნეს ერთ-კლასიანი სასწავლებელი. რომლის შენობის აგება დაჯდა ორასი მან. ამ სიმპატიური საქმისთვის მადლობა სადარაძემ გულუხობა გამოიჩინა და საზოგადოებას გამოუცხადა, რომ ის სწირავს სასწავლებელს 100 მან. მაგრამ მისი გულუხობა საუბედუროთ მალე გამოაშკარავდა. მისი მიზანი იყო ამით საზოგადოების გული მოეგო და ამ სასწავლებელში თავის ქალიშვილი მასწავლებლათ დაენიშნა. როდესაც თავის მიზანს მიაღწია და თავის განზრახვა სისრულეში მოიყვანა, მარჯვენა ხელით შემოტანილი ფული, მარცხენა ხელით გაიტანა. ზემო აღნიშნული სკოლის აშენებათ სოფელმა 200 მან. გადაიხადა 200 მ. ბ. კუზმა გიორგობიანმა შემოსწირა, რომელსაც პატარა ონის ორ-კლასიანი სასწავლებლის ზედამხედველი მასწავლებელი გაზ. „მომავლის" საშუალებით მადლობას უძღვნიდა.

ყველა ეს ფულები დღემდის ორ-კლასიან სასწავლებლის მასწავლებლის განკარგულებაში იმყოფება. ამ ტომ გვკითხებით ბბ. მასწავლებლებს: რით ხელმძღვანელობდენ, როდესაც მათ მალაქია სადარაძეს ჩუმათ მის მიერ შემოწირული ფული ასი მან. დაუბრუნეს? რადათ გადაახდევინეს ისედაც გაძვალტყავებულ საზოგადოებას 200 მ. როდესაც პატივცემულმა კუზმა გიორგობიანმა 200 მ. შემოსწირა? და რადგან ეს ასე მოხდა, სად იმახება დანარჩენი ფული? „ობოლი".

---

**სოფ. ალავერდი (თფ. გუბ.)** გასული თვის 6 თებერვალს ცეცხლი გაუჩნდა ადგილობრივ სპილენძის სადნობ ქარხნის ქიმიურ ლაბორატორიას. შენობა და ძვირფასი ნივთები სრულიად გაანადგურა ცეცხლმა. ზარალი უდრის 5,000 მანეთს. შენობა დაზღვეული ყოფილა.

— 7 თებერვალს მაღაროში უეცრად ჩამოვარდნილმა ქვამ სიცოცხლეს გამოასალმა 20 წლის მუშა ბერძენი. ასეთი შემთხვევები ხშირია, რაც უნდა მიეწეროს ინჟინერ-ტეხნიკოსების დაუდევრობას. ამ ვაჟბატონებს ნეტა მეტად მიაჩნიათ მცირედენი ხარჯები, რომ უბედური შემთხვევები თავიდან აიცილონ.

— ამ დღეებში ელექტრონის ძალის შემწეობით ამოძრავეს სპილენძის სადნობი ფეჩები. იუმთა რიცხვი ამ ნაწილში ჯერ-ჯერობით არ შეუმცირებიათ.

— ქარხნის მსხვილ მოსამსახურეებს განზრახვა აქვთ დაარსონ კლუბი, სადაც მხოლოდ კარტის და ბილიარდს ექნება ადგილი. მეტი არ არის, მათი „შემოქმედების" ეს დარგი უმეცრულსათ განვითარდება!

— რაც შეეხება წიგნთსაცავ სამკითხველოს გახსნას, აქ ამაზე თავს არავინ იწუხებს. აქ დახლოებით ოთხი ათასი კაცი მუშაობს, მათ შორის ბევრია წერა-კითხვის მცოდნე, მაგრამ მათ არა აქვთ წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომ იკითხონ. ქარხნის ადმინისტრაციისთვის, რასაკვირველია, არ არის ხელ-საყრელი ასეთ საქმეზე იზრუნოს და საშუალება მისცეს მდაბიო ხალხს გათვითცნობიერებისა. მიწინავე მუშათა რიცხვი კი მცირეა და ათ ჯერ-ჯერობით არ შესწევთ ძალა თვითონ ითავონ და გაუძღვენ ამ კულტურულ საქმეს. სამკითხველოს გახსნა კი აქ მეტათ საჭიროა და დიდ სამსახურსაც გაუწევს როგორც მუშებს, ისე ქარხნის წვრილ მოსამსახურეთ თვით შეგნების მხრით.

ოფონიესშვილი.

---

**ს. აბედათი (სენაკის მაზრა).** შარშანდელი გვალვების გამო სიმინდის მოსავალი ცუდი იყო, რის გამო ბევრს ზამთარშიც აღარ გაჰყვა სიმინდი და ბევრს კი დღეს უდგება „განსაცდელის წუთები". ამგვარ პირობებში მყოფ ხალხს სულს უხუთავს ათასნაირი გადასახადი: ეს მიწის ბაჟი, დრამის, სტრაჟნიკების, ფოსტის, სანადლო, მწერლის და წლეულს სახალხო გადასახადიც მიემატა. ერთი სიტყვით, ყველგან და ყოველ ფეხის გადადგმაზე სპორშჩიკ-სტრაჟნიკების თარეშს შეხვდებით. საშინელი სურათია, როდესაც მშიერი გლეხი დაწიოქილი ეხვეწება სპორშჩიკებს, ცოტა მადროვეთო.

3 მარტს, ბოქაულის წინადადებით მოიწვიეს კრება მამასახლისის ასარჩევათ. მამასახლისს არ ეძინა, რომ კრიკაიორები ეშოვნა. ბოქაულის წინადადებით წამოყენებულ იქნა ახალი კანდიდატი. არჩევნები ფარული კენჭის ერით მოხდა. ძველი მამასახლისის მომხრეებს უნდოდათ ის კაცეენათ და ხალხს მისი ეგოისგან უთითებდენ, მაგრამ გაიგეს ეს და ბოქაულს მიმართეს წესიერება დაეცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კრებას დაატოვებინებდენ. როგორც იყო, ხალხმა თავისი გაიყვანა და აირჩია ახალი მამასახლისი. დამარცხებულებმა პრისტავის მიმართეს, ხმა გააცრეს, ახლათ არჩეული არა-კეთილ საიმედო პირიაო. მაგრამ ამათ, ფონს მაინც ვერ გავიდენ. „ზაფანა".

# მუშათა შორის

**სადგური ეჩმიაძიანი.** საქონლის სადგურის მუშები. როგორც წინათ გწერდი, აქაურ საქონლის სადგურის მუშების მდგომარეობა მეტათ აუტანელია. არ არსებობს არც დასვენება და არც ძალი. სადგურის უფროსი ბ ნი შეკრელაძე აძლევს 16 მ. თვეში დღეღამე იმუშაონ მუშებმა და ისინიც იძულებულნი არიან იმუშაონ შრომის ამნაირ პირობებში.

თვით საქონლის გადაზიდ-გადმოზიდვა ადებული აქვს რკინის გზიდან ბ-ნ შეკრელაძეს 80 კაპ. ათასი ფუთი. თვეში აქედან 50,000—65,000 ფუთამდე საქონელი იგზავნება. რკინის გზა აძლევს მას ორ ყარაულს რომლებსაც ეძლევა რკინის გზიდან 18 მ. თვეში. ამ ყარაულებს აძლევს ბ-ნი შეკრელაძე საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვასაც, თუმცა-და ესენი, როგორც ყარაულნი, არ უნდა იყვნენ ვალდებულნი იმუშაონ. ამნაირათ, მუშაობისაკენ დაღლილ-დაქანცულმა მუშამ ღამე უნდა იყარაულოს. ეს კიდევ არაფერი. ბ-ნი შეკრელაძე ამას არა სჯერდება, დახმარებას გარდა სასტიკათ ეპყრობა მუშებს დალაპარაკოს ვინმეს მუშაობის დროს, უმეტესათ ქართველ მოსამსახურეს. სწორეთ ამიტომ დაითხოვა მან ყარაული გ. გიბრაძე და მუშა ი. სილაგაძე, რომელშიც თავი ვერ შეიმაგრა და „ქურდულათ" დალაპარაკა ერთ ქართველ მოსამსახურეს.

ბ ნ შეკრელაძეს მუშების დათხოვაში ძალიან ხელს უწყობს გიბრაძე, რომელიც არ ერიდება არავითარ საშუალებას ოღონდ კი მისი ბატონის გული მოიგოს. ამას წინათ საძონლის მატარებელზე ვაგონების გადაბმის დროს „პლომბები" დახსნილი აღმოჩნდა. შეკრელაძემ ბრალი უდანაშაულო მუშას დასდო და დაითხოვა. ამ მოვლენამ ყველა მუშები აალელვა, რადგან ეჭვი არ იყო, რომ ეს გიბრაძის ოინები იყო და მან გასჭრა პლომბები. დასარწმუნებლათ მეორე დღეს უდარაჯეს და დაიჭირეს, როცა ის «პლომბებს» აჭრიდა მოახსენეს შეკრელაძეს, მაგრამ გიბრაძის მაგიერ თვით ისინი კინაღამ დაითხოვა.

ბზიკი.

### წერილი რედაქციის მიმართ ბ-ნ ნიკოს.

თქვენ სამედ. სას. იწვევთ გურიას იმისთვის, რომ ბიკანოს გაზეთის საშუალებით პატარა აზრი გიწოდათ, არ ვიცი, რამ გაიძულათ, რომ ასე მოქცეულიყავით მით უმეტეს, თქვენ პირადათ კარგათ იცნობით ბიკანოსაც და გურიასაც. თუმცა ჩემ წერილში სახელდობრ არ ეწერა ვინ იყო ეს პატარა აზრი, მაგრამ რადგან თქვენი თავი იცანით, გურიაც და მეც დიდის სიამოვნებით გამოგვყვებით სამ. სას. აარჩიოთ მედიატორები და შევგატყობინეთ პირადათ, რადგან ყოველ დღე ერთმანეთს ვხვდებით და ჩვენ მხათა ვართ.

გურია და ბიკანო.

## ეგ. ნინოშვილის ძეგლის ასაგებათ.

„ჯეჯილის" რედაქციამ მიიღო: ვარ. ქიქინაძის მიერ შეგროვილი რვა მან.

შემომწირველთა სია: 5 მ. ვ. ქიქინაძემ, ს. ქალ. ფიფინოვასმა და №№. 40 ონისიმე სვანიძემ, 25 კ., მიხეილ და ივანე თავაძემ და 10 კ., ი. განეჩილაძემ.

იაკობ გოგებაშვილისაგან 25 მ.

სამ. ფირცხალავასაგან 3 მ. 50 კ.,

შემომწირველთა სია: 1 მან. 50 კაპ., მღვდელ ეპიფანე ჰაოშვილმა და 1 მ. ევ. ოჩიგავამ.

ბესარიონ გაბუნიასაგან 1 მ. 50 კ.,

შემომწირველთა სია: 1 მ. სამ. გეგიძემ და 50 კ., კას. გარაყანიძემა.

მიხ. ლობჟანიძისაგან 2 მ. 50 კ.,

შემომწ. სია: თითო მანეთი დავ. ქობულაშვილისა და მ. ლობჟანიძისაგან 50 კ.. №№.

არ. მამულაიშვილისაგან 2. 60 კ; შეგროვილი ტფ. პირველ სამოქალაქო სასწავლებელში.

„მომავალის" რედაქციიდან 2 მ. [illegible] კ., შემომწირველთა სია დაბეჭდილია № 99

ლუჩხუმის მაზრაში ს. ფერჩის [illegible] გადოებაში შეგროვილი ლიუბა ქანისგან 13 მან. 10 კ.

შემომწ. სია: ორი მანეთი გიორგი [illegible] ძე წერეთელმა; თითო მანეთი: [illegible] რიძემ, პაშა წერეთლისამ, სიმონ [illegible] წერეთელმა, ვიქტორ ცერცვაძემ, ვიქტორ კივაძემ, ლავრენტი ღოღელიანმა, [illegible] აბვლედიანისამ ანთიმოს კებაყმაძემ; [illegible] ური: ნადეჟდა ჩიქოვანისამ, [illegible] და ხვადაგიანმა, თითო აბაზი: სვიმონ აბვლედიანმა, გ. და ლ. ასათიანმა, არჩილ დარაბელიძემ, ალექსანდრე ხვადაგიანმა და სალომე ხვადაგიანმა; სამ-სამი შაური: ილიკო ქურდიანმა და [illegible] კაბიძემ: ორი შაური იადონა კაბიძემ.

ქ. ხერსონიდან ნიკოლოზ ნასარაძისაგან მიღებულა იქმნა 12 მ. 81 კ.,

შემომწ. სია: ნ. ნასრაძე 1 მ. 50 კ., პოლონიანეცი 30 კ., ვ. ი. არჩვაძე 1 მ. კაიდარი 50 კაპ., მექი ჩხეიძე 2 მან. ლანწიკიშვილი [illegible] კ., გიგო რობაქიძე 1 მ. დაშკოვი 50 კ., [illegible] კოვი 50 კ., ალავიძე 1 მ. 50 კ., ვ. იაკობ 50 კ., ხ. რივესი 1 მ. ზამთარაძე 1 მ. [illegible] მესხი 1 მ. 50 კ; ფოსტის ხარჯი 29 კ.,

ქ. ერევნიდან კ. ჰყონიასაგან 20 მ.

შემომწ. სია: 1 მ. 50 კ., უგაშვილმა, [illegible] მანეთი: დ. დათეშიძემ, არ. ზანიძემ, იაგ. ნაძემ, მ, ცალქაგამიამ, ზ. მაყაშვილმა, ა. შაკიძე, კ., ჯანდიერმა, დ. ხოშტარიამ, ი. [illegible] ლიანმა, მაჭავარიანმა, ნ. სარჯველაძემ, ი. მინიძემ, № 5. 50 კ. ა. ხოშტარიამ, ნ. პეტრენკომ, ი. ქუთათელაძემ, № 6 და კაბელისაგან, [illegible] კირ. ჰყონიამ. ფოსტის სახარჯოდ 30 კ., ილ. ჰყონიამ.

სულ შემოწირულება შედგა 90 მ. 51 კ. დღემდე იყო 2181 მ. 56 კ. მიემატა 90 მ. 51 კ. გახდა: 2272 მ. 7 კ.,

„ჯეჯილის" რედაქცია ხელახლა სთხოვს ყველას, ვისაც წაღებული აქვთ კვიტანციის წიგნაკები ეგ. ნინოშვილის ძეგლისათვის ფულის მოსაგროვებლად დააჩქარონ და რედაქციას დაუბრუნონ.

რედ. ან. წერეთლისა.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე.


# განცხადება

ქუთაისში
კიწმარიშვილის და ამხანაგობის
**თესლეულობის**
მაღაზიაში

მიღებულია სხვადასხვა ახალი ბოსტნეულობის, ყვავილის და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრის თესლეულობა.

აქვე იყიდება საგანგებოთ დამზადებული ძმების პახხალიდის თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ ეგზავნებათ სურათებიანი კატალოგი უფასოთ.

(25—61)

**კბილის**
საექიმო კაბინეთი
**იოხველისა**
(ოგაუფრთხილდით კბილებს ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით. (100—37)

**კბილის ექიმი**
**ქაჯაია**
იღებს ავათმყოფებს დილის 9 საათიდან საღამოს 7 სა-მდე.
მე-2 თუმანოვის ქუჩა, № 17.

**კბილის ექიმი**
**ი. შ. ჭანტურია**
იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.
კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის 71 № (კიროჩნი ქუჩის ახლოს.)

**კბილის ექიმი**
ს, ვაშაყმაძე
დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 საათამდე. დიდმართი სახ. 15.

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის**
**„ცინკოგრაფია"**
იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.
ადრესი: თფილისი, დიდი განჭის ქუჩა, № 12 ზემო სართულში. (0—21